პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ.-საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10-49.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 292 ოთხშაბათი, 19 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცით. № 292

Коллекция Ив. Федосеева

დღიური

თუ საბერძნეთში გამოცხადებული იქნება რესპუბლიკა—რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს ბერძენ [illegible] საზღვრებიდან.

ინგლის-ფინეთს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება.

იაპონიის მთავრობამ ჩააქრო [illegible].

მექსიკის პრეზიდენტი გაიქცა სატახტო ქალაქიდან. მთავრობა დამარცხდა.

სტამბოლში შავი ჭირის ეპიდემიამ ფართე ხასიათი მიიღო.

პოლონეთის მთავრობის შედგენა მიენდო გლეხთა პარტიას.

ბრძოლა საქონლის სიძვირესთან

ბრძოლა მრეწველობის საგნების გაიაფებისათვის, მათი მისაწოდებლად შედარებით შეღავათიან ფასებში მოსახლეობისათვის და პირველ ყოვლისა გლეხობისათვის,—ჩვენში უკვე გასცილდა სჯა-ბაასის საგანს და დაყენებულია პრაქტიკულ ნიადაგზე. ამ მიმართულებით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გადადგა გადაჭრილი ნაბიჯები.

საყურადღებოა ამ მხრივ დადგენილებანი ამიერ-კავკასიის: ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოსი, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი და შინა-ვაჭრობის კომიტეტის,—დადგენილებანი, რომელნიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ პრესაში.

ამ დადგენილებებით მაქსიმალურად შემცირებულია (50 პროც.) საქციზო გადასახადი ნავთის პროდუქტებზე, მასიური მოხმარების გადაზიდვა რკინის გზებზე განთავისუფლებულია დღემდე არსებულ ზოგიერთი სახის გადასახადისაგან, ზედნართი ხარჯები და მოგების პროცენტი დაყვანილია დღევანდელ პირობებში შესაძლებელ მინიმუმამდე, დაწესებულია მტკიცე საბითუმო და საწვრილმანო ფასები.

ამ ღონისძიებებმა სულ მოკლე დროში უნდა მოგვცენ ფრიად მნიშვნელოვანი ეფექტი.

მოსახლეობამ და კერძოდ სოფელმა უნდა მიიღოს ნავთი 4—5-ჯერ გაიაფებული და დღეს მეტ წილად წყვდიადით მოცული გლეხის კოხი ისევ განათდეს.

მარილის ფასი დაკლებულია სანახევროდ და ამიერიდან ეს პროდუქტიც გლეხობისათვის უნდა შეიქნეს ხელმისაწვდომი.

გლეხის უმთავრეს და მწვავე საჭიროებას შეადგენს ფართლეული: მიღებული ზომების შემდეგ აქაც უნდა იქნას მიღწეული მისი მდგომარეობის საგრძნობი შემსუბუქება.

მთავარი საქმე ის არის, რომ მთავრობის ღონისძიებანი იქნეს სავსებით და სასტიკად გატარებული.

ეჭვი არ არის, რომ მათი განხორციელების დროს ჩვენ წავაწყდებით დიდ დაბრკოლებებს.

წვრილი სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოები, დაჩვეულნი საკმაოდ გადაჭარბებულ საორგანიზაციო ხარჯებს და მოგებას, ერთბაშად ვერ შეურიგდებიან მათ უკიდურესობამდე შეკვეცას. ისინი დაიწყებენ ლაპარაკს აღნიშნულ ღონისძიებათა ასეთი ფართო ფარგლებში გატარების შეუძლებლობაზე.

რა თქმა უნდა, თუ ჩვენი სავაჭრო აპარატი დარჩა ისეთი მძიმე, მოუხეშავი და გაბერილი, როგორც დღეს არის, მაშინ მართლაც ძნელი იქნება ასეთი აპარატის შენახვა და მათ მიერ დავალების სათანადოდ შესრულება იმ შედარებით მცირე საორგანიზაციო და ზედნართი ხარჯით, რომელიც განსაზღვრულია ხსენებულ დადგენილებებში.

ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა და კოოპერატიული სავაჭრო აპარატი შეიქმნეს მარტივი და მოქნილი. ამას გულისხმობს შინა-ვაჭრობის კომიტეტის დადგენილებების წარმატებით გატარება. ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენს მოახდინოს ჩვენი სავაჭრო ორგანოების რეორგანიზაცია და გაუწიოს მათ მოქმედებას ფხიზელი კონტროლი.

შემდეგ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის უშუალოდ მიწოდებას სოფლისათვის, მომხმარებელ გლეხისათვის. საქონელი მათ უნდა მიიღონ პირველი ან მეორე ხელიდან მაინც; უნდა იქნან აცილებულნი სხვადასხვა შუამავლები და საშუამავლო ორგანოები, რომელნიც ზედმეტ ტვირთად აწვანან ჩვენს სავაჭრო ოპერაციებს.

როგორც ვიცით, პირველადი კოოპერატივები ჩვენში ძალიან მოისუსტებენ, ან სულ არ არსებობენ ბევრ ალაგას. ეს გარემოება ძალიან აძნელებს საქონლის დენას სოფლისაკენ საიმედო გზით.

სადაც კოოპერატივი და საბჭოთა სავაჭრო პუნქტი არ არის, საჭიროა საქონლის შეძენა სახელმწიფო და კოოპერატიულ გაერთიანებათა საწყობებთან და მისი გაყიდვა-დარიგება დაეკისროთ სხვა შესაფერ ორგანიზაციებს, მაგ., გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს, ან სოფლის ნდობით აღჭურვილ საგანგებო რწმუნებულებს.

დასაშვებია აგრეთვე წვრილ-დამტარებელ ვაჭრების ინსტიტუტის აღდგენა. ოღონდ მათ სასტიკი მეთვალყურეობა უნდა გაეწიოთ, რათა საქონელი გაყიდონ წინდაწინ გადაწყვეტილ ფასებში.

მაგრამ რაც უნდა გავაიაფოთ საქონელი და მივაწოდოთ ის გლეხობას, უკანასკნელი ჯერჯერობით მაინც ვერ შეიძენს მას საჭირო რაოდენობით, რადგან ძალზე დაცემულია მისი სყიდვითი ძალა და საკმაო ფულის ნიშნებიც არ გააჩნია. აქ დგება საკითხი, ერთი მხრივ, გლეხის ნაწარმოების რიგიან ფასებში შესყიდვის ან სამრეწველო საგნებზე გადაცვლის შესახებ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოს მიერ, მეორე მხრივ—მისთვის კოოპერატივის საშუალებით საქონლის ნისიად გაცემის შესახებ.

მრეწველობის პროდუქციის გაიაფებისათვის მიღებულ ზომებთან ერთად, საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშაობა ამ საკითხების გადასაჭრელად, ე. ი. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების გასასაღებლად და გლეხობისათვის კრედიტის გასახსნელად. მხოლოდ მაშინ მივიღებთ სასურველ და სრულ ნაყოფს ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებიდან, მხოლოდ მაშინ შევსძლებთ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი საფრთხე, საქონლის გასაიაფებლად ეხლა მიღებულ ზომებთან დაკავშირებით.

კერძო ვაჭრები შეეცდებიან დაკლებულ ფასებში ბლომად შეიძინონ საქონელი, გადამალონ ის, ხელოვნურად გამოიწვიონ მისი ნაკლებობა, რათა შემდეგ გასწიონ სპეკულიაცია და ჩვენი დღევანდელი ღონისძიება მხოლოდ თავიანთი ჯიბის გასასქელებლად გამოიყენონ.

ამის ასაცილებლად საჭიროა კოოპერატივებისათვის და სხვა სათანადო ორგანიზაციებისათვის კრედიტის გახსნა, რაზედაც ზევით ვლაპარაკობდით, ამასთან საქონლის გაცემის დროს პირველ რიგში კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკმაყოფილება.

გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა ბოროტმოქმედებანი, ზევით მოყვანილ დადგენილებათა დარღვევა, მომხმარებლის მოტყუება საქონლის ხარისხის ჩვენებაში, ზედმეტი ფასის აღების მიზნით და სხ.

შინა-ვაჭრობის კომიტეტს ეს გათვალისწინებული აქვს და ის აცხადებს თავის დადგენილებაში, რომ უკანასკნელის დამრღვევნი დაისჯებიან სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ამასთან წინადადებას აძლევს ყველა ადმინისტრატიულ ორგანოებს თვალყური ადევნოს დადგენილების სისწორით ასრულებას და დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში.

საჭიროა სათანადო საბჭოთა, პარტიულ, პროფესიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანოებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მთავრობის ღონისძიებათა სავსებით გატარებაში და ფხიზელი კონტროლი გაუწიონ ჩვენს ვაჭრობის დარგში მომუშავეთ.

საერთო ძალღონით ჩვენ შევსძლებთ ამ საქმის ღირსეულად შესრულებას.

ჩვენი მტრების ტაქტიკა

(მენშევიზმის დაშლის შედეგების გამო).

საკითხი ჩვენი პარტიის დამოკიდებულების შესახებ იმ მუშებისა და გლეხების მასასთან, რომლებმაც დასტოვეს მენშევიკური პარტია, მეტად მნიშვნელოვანია. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მენშევიკების ც. კ. თეზისებს პარტიის დაშლის შესახებ და შევეცდებით შესაფერი დასკვნები გამოვიყვანოთ (თეზისები ნაპოვნი იქნა მენშევიკების ც. კ. თავმჯდომარის ნ. ხომერიკის დატუსაღების დროს).

„ნ. იქვს გარეშე, რომ პარტიიდან გამოსულების 90 პროც. საქართველოს და საქართველოს ხალხის ერთგული რჩება. ჩვ ნებმა, ყოველ შემთხვევაში მომავალში ხელი არ უნდა ჰკრან მათ, მათ რბილათ უნდა მოეპყრან (რასაკვირველია მასას, მაგრამ არა რენეგატებს).

ამ ხალხს არ უნდა მოუჭრათ გზები".

„საერთოდ მეტი ყურადღებაა საჭირო მასის სულიერი განწყობილებისადმი და დაღლილობისადმი. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ტაქტიკა უნდა შეიცვალოს (შეეგუოს)".

აი რას სწერს თავის თეზისებში მენშევიკების ც. კ., რომელ მაც თავის დროზე დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა პარტიიდან გასულებს მოღალატეები და გამცემლები უწოდა.

ეს განუწყვეტელი ლანძღვა გინება მენშევიკების მხრიდან კიდევ უფრო აღშფოთებდა მუშებსა და გლეხებს და საკუთრივ ამ აღშფოთების ტალღებზე გამოჩნდენ სცენაზე პირველი კონფერენციები ტფილისის რაიონებში.

მაგრამ მენშევიკების ხელმძღვანელმა ორგანომ დაინახა რა თავისი შეცდომა, სცვლის თავის ტაქტიკას და იძლევა ახალ დირექტივებს.

მაგრამ რით აიხსნება ასეთი შეცდომის დაშვების ფაქტი. ის აიხსნება მენშევიკების ც. კ. მიერ თავის დროზე პარტიის დაშლის მომენტის სათანადოდ შეუფასებლობით. ფიქრობდენ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ბოლშევიკების მორიგი ხრიკებია და მას არავითარი ნიადაგი არა აქვს. მენშევიკების ც. კ., როგორც ეს მათი გაზეთებიდან და პროკლამაციებიდან სჩანს, არ სცნობდა პარტიაში კრიზისის არსებობას. მხოლოდ შემდეგ, როცა დაშლამ საშიში ფარგლები მიიღო, სეით დევდარიანი თავის წერილებში აღიარებდა პარტიაში ღრმა კრიზისის არსებობას და „ახალი გზების ძებნასაც" კი შეუდგა.

პარტიაში კრიზისის არსებობის აღიარებას ადასტურებს აგრეთვე თეზისების პირველი მუხლ.: „კრიზისი ჩვენი პარტიის ორგანიზაციის რიგებში შექმნა არა ვისიმე... მოღალატურმა გამცემლობამ; არა, მისი მიზეზები უფრო ღრმა არის: ხანგრძლივი ომები, რევოლუცია, ხანგრძლივი ნაციონალური ბრძოლა, აგრეთვე ნაწილობრივ, ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, მუდამ იარაღის ჟღარუნის ტაქტიკა, ხალხისა და პარტიული მასის დაღლილობა და ბოლოს ტერორი მტრების მხრივ და სხვ".

როგორც სჩანს, მენშევიკების ც. კ. აღიარებს თავისი პარტიის დაშლას და მასიურ გასვლას პარტიიდან ხსნის არა მარტო ისეთი ორგანოს არსებობით, როგორიც არის საგანგებო კომისია, არამედ პარტიის შეცდარი ტაქტიკური ხაზით და სხვა მიზეზებით.

„უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი კრიზისის დროს ორგანიზაცია კარგავს კონტაქტს მასასთან და ხელს უწყობს კრიზისის არანორმალურ დაბოლოვებას",—ვკითხულობთ ჩვენ შემდეგ თეზისებში.

ეს მეტად დამახასიათებელი აღიარება არის. **მენშევიკებს მართლა არ ჰქონიათ კონტაქტი მასასთან, „კრიზისის ნორმალური დამთავრება" კი დასრულდა მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობით, რომელმაც მოახდინა თავისი პარტიის ლიკვიდაცია.**

საბჭოთა ხელისუფლების არსებობა, მისი ბუნება, პრაქტიკული მუშაობა საბჭოთა და პროფესიონალურ დარგში, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.,—ყველა ამან ერთგვარი სულიერი განწყობილება შექმნა მენშევიკური პარტიის მუშურ-გლეხურ ნაწილში. პირველად დაიწყო სტიქიური დემობილიზაცია, შემდეგ კი ამ მასის სრული ჩამოშორება პარტიისაგან, რომლის ხელმძღვანელები უკანასკნელ დღეებამდი აჟღარუნებდენ იარაღს, აჯანყებას ამზადებდენ საქართველოს შიგნით, მის გარეთ კი—ინტერვენციას და სრულიად არ უწევდენ ანგარიშს მასის სულიერ განწყობილებას.

მაგრამ თავის თეზისებში ცენტრალური კომიტეტი ლაპარაკობს მტრის შეტევის გამო ერთგვარი დემობილიზაციის მოხდენის და დაღლილი მასების რეზერვში გადაყვანის შესახებ. მიუხედავათ ამისა, ასეთი უკანდახევა ვერ მოაბერხეს სარდლებმა მენშევიკური ცენტრალური კომიტეტიდან.

მეოთხე მუხლში ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ:

„...კარგი სარდლობა სრულიად არ გულისხმობს უკან არ დახევას მრისხანე მტრის შეტევის გამო, მაგრამ თავის ძალების გათვალისწინება და წესრიგით უკანდახევა, რომ შემდეგ არ გვეძებნა თხზივით გაბნეულები და დეზერტირები, **სამწუხაროთ ეს შეცდომა ჩვენ ნაწილობრივ დაუშვით**". (ხაზი ჩვენია, რ.)

აქ არა ნაკლებ ძვირფასი აღიარებაა იმის, თუ როგორის ტემპით ვითარდებოდა დაშლა.

„შესაძლებელია დავაგვიანეთ (!)—ვკითხულობთ მეშვიდე მუხლში, მაგრამ ვფიქრობთ: რომ განვაგრძოთ და დავამთავროთ ლეგალიზმის დემობილიზაცია, ეს უკეთესი იქნება".

რას ლაპარაკობენ ეს თეზისები?

1) მენშევიკების ც. კ. აღიარა პარტიაში ღრმა კრიზისის ფაქტი, თავისი ძველი ტაქტიკა ერთგვარ შეცდომათ აღიარა.

2) აღიარა თავისი შეცდომა იმაში, რომ ვერ აუღო ალღო მასის სულიერ განწყობილებას და დაშლის გადამწყვეტ მომენტში დაჰკარგა კონტაქტი ამ მასასთან.

3) აღიარა, რომ ამ მასასთან კონტაქტის უქონლობამ კრიზისის პერიოდში „ხელი შეუწყო კრიზისის არა ნორმალურად დასრულებას":

რადგანაც კრიზისი დასრულდა მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევით, ასეთი განცხადება ცეკას თეზისებში არ აძლევს უკანასკნელს უფლებას სახელი გაუტეხოს ამ ყრილობას.

4) აღიარა თავისი შეცდომა იმაში, რომ ძალიან გულგრილად მოეპყრა პარტიიდან გამოსულ მუშებს და გლეხებს, რომ დღევანდელ მომენტში ჰსურს ამ შეცდომის გამოსწორება და სცდილობს შესცვალოს ტაქტიკა ამ მუშების და გლეხებისადმი.

როგორი დასკვნები შეიძლება გამოვიყვანოთ აქედან?

უნდა გავიგოთ მტრის ტაქტიკა და საშუალება, არ უნდა მივსცეთ ხელახლა გადაიბიროს ჩვენ მიერ დაპყრობილი მუშები და გლეხები. ყოფილ მენშევიკებს შორის მუშაობას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, უნდა გამოვამჟღავნოთ მათ წინაშე მტრების პოზიცია. **საქართველოს კომპარტიის ცეკას თეზისები ყოფილ მენშევიკების შორის მუშაობის შესახებ ვადაუდებლად უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან ამ შემთხვევაში პარტიის შეცდომას შეუძლია მენშევიზმის ხანაკში გადაიყვანოს ზოგიერთი მერყევი ელემენტები.**

ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, არსებობს თუ არა ამ ჟამად მენშევიკური პარტია?

ამ კითხვაზე უნდა მივცეთ გარკვეული პასუხი, რათა პარტიულმა და უპარტიო მასამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს არ დაუშვას შეცდომები.

მენშევიკური პარტია, როგორც მუშების და გლეხების პარტია აღარ არსებობს. მან დაჰკარგა საუკეთესო ელემენტი ამ წრიდან. ორგანიზაციულად იგი განადგურებულია

მაგრამ, როგორც არალეგალური ორგანიზაცია რომელიც იზიდავს თავის წრეში ყოველი ჯურის ელემენტებს პროლეტარიატისა და გლეხობისათვის უცხო წრიდან, ორგანიზაცია, რომელიც განაგრძობს და მომავალშიაც არ დასთმობს ბრძოლას (სხვადასხვა ფორმების და ბანდიტიზმის სახითაც კი) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ასეთი ორგანიზაცია არსებობს.

ფრიად დამახასიათებელია განცხადება ქუთაისის არალეგალურ კონფერენციის თავმჯდომარისა, რომელმაც კონფერენციის გახსნისას სიტყვა-სიტყვით სთქვა შემდეგი: „...ეხლა ჩვენ ვაკეთებთ არა პარტიის საქმეს, არამედ მთელი ერის განთავისუფლების საქმეს, ქართველი ერის მთელი ყურადღება ჩვენკენაა მოპყრობილი, იგი ჩვენგან ელის ხსნა"...

ასეთი განცხადების შემდეგ მენშევიკებს გაჰყვებიან ყოველი თავადი, აზნაური და კულაკი.

ისინი უკვე მისდევენ მას, ეგრედ წოდებულ თანამგრძნობთა ჯგუფები, რომლებიც საწევრო გადასახადებს იხდიან, შედგებიან უმთავრესად ამ სოციალურ წრიდან გამოსულ ელემენტებისაგან. გარდა ამისა, თუ მენშევიზმი, როგორც მუშების და გლეხების პარტია დაშლილია, არ არის მოსპობილი ის ობიექტიური პირობები საქართველოში, რომელიც გზას უხსნის მენშევიზმს. მისი ლიკვიდაცია იქნებოდა რევოლუციის საბოლოო გამარჯვება. ჩვენ გვიხდება მუშაობა ტიპიურ წვრილ-ბურჟუაზიულ წრეში. ჩვენ გვიხდება პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება გლეხურ ქვეყანაში, ჩვენ გვიხდება მუშაობა ისეთ ქვეყანაში, სადაც მენშევიზმმა ღრმად გაიდგა ფესვები და ეს მოხდა არა შემთხვევით. ჩვენი პარტია, რომელმაც მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებისა მოიპოვა მენშევიზმზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს ამით, არამედ კიდევ მეტი ენერგიით განაგრძოს ბრძოლა იმ ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომელნიც დღეს მენშევიკურ პარტიის სახელით ლაპარაკობენ. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა—წესიერი და სისტემატიური მუშაობა მენშევიკურ პარტიიდან გამოსულ მუშებსა და გლეხებს შორის.

რუბენ.

ტელეგრამები

(„ზაქროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

უცხოეთში ძლიერდება ინტერესი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი

ინდოეთში: ინგლის-ინდოეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის ვაჭრობას აზიის ქვეყნებში. პრესა ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის საქონელმა განდევნა ინგლისის საქონელი აზიის ქვეყნებში.

იტალიაში: იტალიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის კონსერვატორების დამარცხება არჩევნებში მოასწავებს საბჭოთა კავშირის ცნობას უახლოეს ხანში. „ავანტი" ურჩევს მუსოლინს საჩქაროდ განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

რუმინეთში: ოდესაში მოელიან რუმინეთის დელეგაციას, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან.

საფრანგეთში: პარიზში გამართულ ფინანსიურ და სავაჭრო წრეების თათბირზე აღიარებულ იქნა საბჭოთა კავშირის ცნობის აუცილებლობა

საფრანგეთში

ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

პარიზი. 17 დეკ. ფინანსიურ და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც გაიმართა პარიზში, რუსეთის მდგომარეობის და მასთან ურთიერთობის განახლების შესახებ, მოხსენება გააკეთა მეიდონმა, რომელმაც მიუთითა რუსეთიდან ძველი ვალების მოთხოვნის უაზრობაზე, როდესაც ამ ვალების გადახდა შეუძლებელია და მოითხოვა რუსეთ საფრანგეთის შორის საზოგადოებების დაახლოვება, საბჭოთა კავშირში კონცესიების მიღების მიზნით. მომხსენებელმა დაამთავრა თავისი მოხსენება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლებაზე მითითებით.

ოპონენტები მოითხოვდენ რუსეთის მიერ ვალების აუცილებლად ცნობას და ნაციონალიზაციაქმნილ წარმოებების დაბრუნებას.

ყველაზე უფრო სასტიკად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების წინააღმდეგ გაილაშქრა დეპუტატმა ერლიშმა. მას პასუხი გასცა ზერანკურმა, რომელმაც მოიყვანა ციფრები საბჭოთა კავშირთან სხვა სახელმწიფოების ურთიერთობას განვითარების შესახებ და დაამტკიცა ერლიშის აზრის უსაფუძვლობა.

იტალიაში

ინგლისის არჩევნების გამოძახილი.

რომი. 17 დეკ. იტალიის ოპოზიციონური პრესა ინგლისის მუშათა პარტიის გამარჯვებას არჩევნებში სთვლის რეაქციის დამარცხებათ. ფაშისტური გაზეთები ფიქრობენ, რომ ინგლისის არჩევნებს შედეგათ მოჰყვება პროტექციონიზმის დამხობა.

„ავანტი" აღნიშნავს, რომ კონსერვატორების დამარცხება გამოიწვევს საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობას ახლო მომავალში. გაზეთი ურჩევს მუსოლინს დააჩქაროს დიპლომატიური ურთიერთობათა აღდგენა საბჭოთა კავშირთან.

რუმინეთში.

სავაჭრო ხელშეკრულებისათვის

ოდესა. 18 დეკემბერი. 18 დეკემბერს [illegible] საქმეთა სახ. კომისარიატის [illegible] რწმუნებულის სამმართველოს შენობაში იწყება მოლაპარაკება რუმინეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. დღეს საღამოს ოდესაში ჩამოდის რუმინეთის დელეგაცია მთელი თავისი შემადგენლობით.

ინდოეთში.

ეშინიათ რუსეთის.

ქაბული 17 დეკ. ინგლის-ინდოეთის პრესა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირის სავაჭრო ოპერაციებისადმი აზიის ქვეყნებში. გაზეთები აღნიშნავენ რუსეთის სავაჭრო საგენტოების გაცხოველებულ მოქმედებას, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთის ბაზრებიდან ინგლისის საქონლის განდევნისაკენ და ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის რკინის გზების მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოთ კასპიის ზღვის იქით და ციმბირში.

პოლონეთში

მოსკოვი. 18 დეკემბერი. ამხ. ჩიჩერინმა პოლონეთის რწმუნებულს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მთავრობა კმაყოფილებით ღებულობს ცნობათ პოლონეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. საკავშირო მთავრობა კვლავ ადასტურებს იმას, რომ ის კისრულობს რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილ რიგის ხელშეკრულების და ამ სახელმწიფოების მიერ პოლონეთთან დადებულ სხვა დანარჩენ შეთანხმებათა განხორციელებას. საბჭოთა კავშირის პოლონეთთან მეგობრული ურთიერთობის შემდეგი ჩამოყალიბების მიზნით, საკავშირო მთავრობა უფლებას აძლევს პოლონეთის მთავრობას, მიუხედავად მომავალში დასადებ საკონსულო კონვენციის, დაუყოვნებლივ გახსნას გენერალური საკონსულო ხარკოვში და მინსკში და ამავე დროს თანახმაა, რომ ამ საკონსულოების სათავეში იდგენ ის პირები, რომლებიც ფორმალურად ითვლებიან მოსკოვში მყოფ პოლონეთის დიპლომატიური მისიის წევრებათ. საკავშირო მთავრობა მზად არის მოაგვაროს მეგობრულად ის საკითხები, რომლებიც შეეხება კავშირის იმ ნაწილების პოლონელ მოქალაქეების რეპატრიაციას, რომლებზედაც დღემდე არ ვრცელდებოდა რიგის ხელშეკრულების სათანადო მუხლები. საკავშირო მთავრობა თანახმაა განიხილოს გამონაკლისის სახით ვარშავის საქველმოქმედო საზოგადოების და მინოვსკის სახელობის კასის პრეტენზიები, მაგრამ ეს არ უნდა იქნეს პრეცედენტი სხვა კერძო პრეტენზიებისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის მიმართ.

ამერიკაში

ამხ. ჩიჩერინის ნოტა ამერიკის პრეზიდენტისადმი

მოსკოვი 18 დეკემბერი. ამხ. ჩიჩერინმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს კულიჯს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ ისწრაფოდა მეგობრული ურთიერთობის დამყარებისაკენ შეერთებულ შტატებთან და მას არა ერთხელ გამოუთქვამს ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების სურვილი. გაეცნო რა პრეზიდენტის მიმართვას კონგრესისადმი, საბჭოთა მთავრობა სრულ თანხმობას აცხადებს განიხილოს შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად ყველა ის საკითხები, რომლებიც აღნიშნულია მიმართვაში და მზად არის აგრეთვე ამ მოლაპარაკებას საფუძვლად დაუდვას შინაურ საქმეებში ურთიერთ არ ჩარევის პრინციპი.

ფინანსიური პრეტენზიების საკითხის გამო, რომელზედაც ლაპარაკობს პრეზიდენტის მიმართვა, საბჭოთა მთავრობა მზად არის გამართოს მოლაპარაკება ამ საკითხის ურთი ერთდაკმაყოფილების ნიადაგზე გადაჭრის შესახებ. საბჭოთა მთავრობა მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მასზეა დამოკიდებული, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის.

ერთა ლიგაში

მიწვევა.

მოსკოვი 18 დეკემბერი. საბჭოთა მთავრობამ ერთა ლიგის საზღვაო ქვეკომისიისაგან მიიღო მოწვევა ქვეკომისიის სესიაზე. სესია მოწვეულია ჟენევაში 1924 წლის 21 იანვრისათვის. მან უნდა განიხილოს საკითხი ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულების პრინციპების აგრეთვე იმ სახელმწიფოებზე გავრცელების შესახებ, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში.

ამ მიწვევის გამო ამხ. ჩიჩერინმა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა ნოტა რომელშიც, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა, არ სცვლის რა თავის პრინციპიალურ დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი და ისახავს რა მიზნათ საზღვაო ძალების შემცირებას და საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებას, გაგზავნის თავის საზღვაო ექსპერტს ერთა ლიგის საზღვაო ქვეკომისიაში მონაწილეობის მისაღებათ მხოლოდ იმ პირობით, თუ აღნიშნული სესია შვეიცარიაში არ იქნება მოწვეული.

გერმანია და საფრანგეთი

გერმანიის საკითხი საფრანგეთის პარლამენტში.

პარიზი. 17 დეკემბერი. პარლამენტის სხდომაზე სოციალისტმა ბლიუმმა განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულების შესრულების დროს საჭიროა ექსპერტთა კომისიამ გამოარკვიოს შემდეგი: გერმანიის მრეწველობის რომელი დარგები გამოდგებიან რეპარაციის გადახდის გარანტიებით და საფრანგეთს როგორი გირაოების საფუძველზე შეეძლო საკრედიტო ოპერაციების წარმოება სარეპარაციო გადასახადების დასაფარავად. ბლიუმის წინადადება მოიწონა პუანკარემ.

შემდეგ გამოსულმა კაშენმა გაჰკიცხა გერმანიის სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც გერმანია ხელში ჩაუგდეს მილიტარისტებს. კაშენის გამოსვლას სოციალისტები შეხვდენ ობსტრუქციით, რის შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქნა.

კომუნისტური წრეები ბლიუმის სიტყვას უცქერიან, როგორც შემარცხენეების ბლოკთან დაახლოვების ცდას.

მოლაპარაკება გერმანიასთან

პარიზი. 17 დეკ. გამოქვეყნდა საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, **რომ ვინაიდან გერმანიის მთავრობამ სავსებით შეწყვიტა პასიური წინააღმდეგობა, საფრანგეთის მთავრობა არავითარ დაბრკოლებებს არ ხედავს საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების დასაწყებად.** საფრანგეთის მთავრობა მზად არის მოისმინოს გერმანიის ყველა მოსაზრებები სარეპარაციო საკითხის შესახებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს სარეპარაციო კომისიის უფლებებს.

მთავრობა მზად არის მოელაპარაკოს გერმანიას ოკუპაციის ფორმის შეცვლის შესახებ, მაგრამ შესაძლებლად ვერ ხედავს სამხედრო ოკუპაციის საკითხის საერთოდ განხილვას. უშუალო მოლაპარაკება გერმანიის მრეწველებთან შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მომავალი წლის აპრილში, როცა ვადა გაუვა დიუსელდორფის ხელშეკრულებას. **საფრანგეთის მთავრობა არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავს რეინში სეპარატისტული მოძრაობის შესახებ,** რადგან მას გერმანიის შინაპოლიტიკურ საკითხათ სთვლის.

გერმანიის რწმუნებულთან გებემთან მოლაპარაკების დროს, პუანკარემ წინადადება მისცა მას წარუდგინოს საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმი გერმანიის მთავრობის თვალსაზრისის აღნიშვნით.

გებთან ერთად, გერმანიის რწმუნებულმა ბრიუსელში რედიგერმა წინადადებით მიმართა ბელგიის მთავრობას უშუალო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. რედიგერი თავის წინადადებაში მიუთითებს, რომ გერმანიის მთავრობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ექსპერტთა ორივე კომისიის მუშაობას. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქასპარმა განუცხადა რედიგერს, რომ წინადადებაზე პასუხს მიიღებს მხოლოდ საფრანგეთ-ბელგიის მთავრობების მოლაპარაკების შემდეგ.

საფრანგეთის ოფიციალური პრესა ხაზს უსვამს, რომ გერმანიის ფინანსიურმა კატასტროფამ აიძულა უკანასკნელი წამოეყენებია წინადადება მოლაპარაკების განახლების შესახებ. პრესას ეჭვი შეაქვს გერმანიის მთავრობის გულწრფელობაში და მიუთითებს, რომ მოლაპარაკება შეეხებოდეს მხოლოდ რეპარაციების და არა რეინისა და რურის საკითხს.

„ჟურნალ დ'ინდუსტრიელ" იუწყება, რომ დაიწყო რურის მრეწველების მოლაპარაკება საფრანგეთის ლითონის მრეწველობის წარმომადგენლებთან.

პუანკარეს პასუხი.

ბერლინი. 18 დეკემბერი. 16 დეკემბერს საღამოთი გერმანიის რწმუნებულს პარიზში გადაეცა პუანკარეს პასუხი. პუანკარე აცხადებს, რომ მზად არის უშუალო მოლაპარაკება გამართოს გერმანიის მთავრობასთან, იმ პირობით, რომ ამ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ ცნობა ექნებათ სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს.

ბერლინი. 18 დეკემბ. გერმანიის წერილობითი პასუხის შინაარსი გერმანიის რწმუნებულის ნოტაზე დანამდვილებით არ იციან. ხმები დადის, რომ პუანკარე მოლაპარაკების მთავარ პირობათ აყენებს კონტროლის დაწესების და საკონტროლო კომისიის უფლებებში არ ჩარევას.

პარიზი. 18 დეკემბერი. პასუხში, რომელიც გადაეცა გერმანიის რწმუნებულს, გამოცხადებულია თანხმობა გერმანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დაწყების ყველა იმ საკითხებზე, რომელთაც წამოაყენებს ბერლინის მთავრობა. შემდეგ პუანკარე აცხადებს, რომ თუ მოლაპარაკება შეეხება მოკავშირეთა საკითხებს, როგორც მაგალითად საკონტრიბუციო საკითხს, ის იტოვებს უფლებას გამართოს მოლაპარაკება მოკავშირეებთან, რადგან ეს საკითხი საკონტრიბუციო კომისიის კომპეტენციაში შედის. რაც შეეხება რურსა და რეინლანდს, პუანკარე მზად არის განიხილოს წინადადება „მოდუს ვივენდის" დამყარების შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ საფრანგეთ-ბელგიის ადმინისტრაცია და რეინლანდის კომისია განაგრძობენ მუშაობას.

გერმანიის მთავრობის ბეჭითობა

გერმანიას სიღარიბე მოელის.

ბერლინი. 18 დეკემბერი. ბერლინის პრესის ბანკეტზე, რომელიც გამართული იყო რეიხსტაგის შენობაში, **კანცლერ მარქსმა თავის სიტყვაში მიმართა გერმანიის მთელს მოსახლეობას და მოუწოდა მას მოთმინებით და გონიერებით გადაიტანოს სიღარიბის მომავალი პერიოდი, რომელიც გაცილებით მეტ ძალებს მოითხოვს ვიდრე თვით ომი და მისი შემდგომი ხანა.**

კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 18 დეკემბ. **ბერლინში დაპატიმრებულია 800 ოდე კომუნისტი, რომლებიც შეკრებილი იყვნენ სპორტიულ სავარჯიშოზე.**

მდგომარეობა ოსმალეთში

მოკავშირეებმა სავსებით დასცალეს სტამბოლი და გაიყვანეს უკანასკნელი სამხედრო გემი.

სტამბოლში მძვინვარებს შავი ჭირი, რის გამო შემოღებულია სავალდებულო აცრა.

დასრულდა ავსტრია-ოსმალეთის სავაჭრო მოლაპარაკება. ამ დღეებში მოელიან სათანადო ხელშეკრულების დადებას.

შავი ჭირის ეპიდემია.

ანგორა. 17 დეკემბ. **სტამბოლში ძლიერდება შავი ჭირის ეპიდემია. მატარებლები დაცალიერებული დადიან. შემოღებულია ყველა მგზავრებისათვის სავალდებულო აცრა.**

მოკავშირეები და სტამბოლი.

ანგორა. 17 დეკემბ. **მოკავშირეების უკანასკნელმა სამხედრო გემებმა დასტოვეს სტამბოლი.**

ვატიკანი და ოსმალეთი.

ანგორა. 17 დეკემბ. ანგორაში ჩავიდა ვატიკანის წარმომადგენელი კარდინალი ფილიპე.

ავსტრია-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

ანგორა. 17 დეკემბ. დასრულდა ავსტრია-ოსმალეთის სავაჭრო მოლაპარაკება. ამ დღეებში მოსალოდნელია ხელშეკრულების ხელის მოწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

ანგორა. 17 დეკემ. ხელახლა დაატუსაღეს: სტამბოლის ვექილთა კავშირის თავმჯდომარე ლიუტფიფიკლი, „დანიის გაზეთი"-ს რედაქტორი აბდულ-კადირი, სტამბოლის ყოფილი კომენდანტი მესუდი, პოლიციის მოხელე იბრაგიმი და სხვა. ყველა მათ ბრალი ედებათ ღალატში და ანტირესპუბლიკანურ მაქმედებაში.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 89 ხმების უმრავლესობით 63 წინააღმდეგ მიანიჭა სასამართლოს განუსაზღვრელი უფლებები. სხვათაშორის, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფევზი ფაშამ. სასამართლოს გადაეცა საქმეები სამხედრო შპიონაჟის შესახებ.

პოლონეთის ამბები

მთავრობის კრიზისის გარშემო.

ვარშავა. 17 დეკემბერი. პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა გლეხურ პარტიის ლიდერს ტუგუტს, რომელიც გუშინ მოლაპარაკებას აწარმოებდა კლუბების წარმომადგენლებთან, ტუგუტის მიზანია ნდობა მოიპოვოს ვიტოსის კლუბის ნაწილში, და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობაში.

სეიმის უკიდურესმა მემარჯვენე ფრთამ გაილაშქრა ტუგუტის წინააღმდეგ, რომელმაც შეიძლება ვერ მოიპოვოს სეიმის უმრავლესობის ნდობა, რადგან მემარჯვენე ფრაქცია იმუქრება, რომ ის თავიდანვე ოპოზიციაში ჩაუდგება ტუგუტის კაბინეტს.

ტუგუტმა წინადადება შეიტანა შედგენილ იქნეს კაბინეტი პარლამენტის გარეშე, რომელშიაც უნდა შევიდენ პილსუდსკი, სკრჟინსკი და ვლადისლავ გრაბსკი. რადგან მისი იმედი არ გამართლდა, ამიტომ განაცხადა, რომ ის არ შეუდგება ახალი მთავრობის შედგენას იმ დრომდე, სანამ ვიტოსის კლუბი და ქრისტიანული დემოკრატები არ გამოიტანენ გარკვეულ გადაწყვეტილებას ამის შესახებ. საღამოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ხმები დადის, რომ ტუგუტს განზრახვა აქვს უარი სთქვას ახალი კაბინეტის შედგენაზე.

ინგლისში არჩევნების შემდეგ

ბალდვინი გადადგომის წინ

ბერლინი. 18 დეკემბერი. მუშათა პარტიის წრეებში განმტკიცდა ის აზრი, რომ ბალდვინის კაბინეტი მიიყვანონ გადადგომამდე. თუ დამატება მეფის სიტყვის პასუხზე უმუშევრობის შესახებ არ მიიღებს უმრავლესობას თემთა პალატაში, მაშინ მუშათა პარტია შეიტანს მეორე დამატებას საგარეო პოლიტიკის საკითხის შესახებ, რომელსაც, მუშათა პარტიის აზრით, ლიბერალები ვერ უარჰყოფენ.

ლიბერალური პარტიის კრება.

ლონდონი. 18 დეკემბ. ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს განვლილი კვირის განმავლობაში წარმოადგენს ლიბერალური პარტიის კრება. ამ კრებას ახასიათებენ როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს ლიბერალური პარტიის ორივე ფრთის გაერთიანებისაკენ. ის მოწვეულია იმ საერთო პოლიტიკის გამორკვევის მიზნით, რომელიც უნდა აწარმოოს პარტიამ, რომლის ხელშია საერთო პოზიციის გასაღები თემთა პალატაში, კრება იქნება ღია, მოელიან, რომ კრებას დაესწრებიან ასკვიტი, ლოიდ-ჯორჯი, უინსტონ ჩერჩილი, გრეი, ალფრედ მონდი და სხვები. შესაძლებლად სთვლიან, რომ ლიბერალები გამოიტანენ დადგენილებას არ შევიდენ არავითარ კოალიციაში, მხოლოდ მხარს დაუჭერენ მუშათა პარტიას მეფის სიტყვაზე პასუხის გაცემის დროს თემთა პალატაში. თუ მეფე გაიმეორებს, რომ მთავრობა მხარს უჭერს მთავრობის პროტექციონისტულ პოლიტიკას, შესაძლებელია, რომ ლიბერალები მუშათა პარტიას დაუჭერენ მხარს და მთავრობა უმცირესობაში დარჩება. ლიბერალების წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ლიბერალები თემთა პალატაში განცალკევებულ პოზიციას დაიჭერენ და მუშათა პარტიას, თუ ის მთავრობას ჩაუდგა სათავეში, მხარს იმ შემთხვევაში დაუჭერენ, თუ უკანასკნელის პროგრამა არავითარ წინააღმდეგობაში არ იქნება ლიბერალურ პროგრამასთან.

სპარსეთის გამოფენა

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

თეირანი. 17 დეკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე გამოფენის კომიტეტის, მთავრობის წევრების, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის და მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით მოხდა საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასინჯვა.

სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. შუმიაცკიმ მიმართა დამსწრეებს სიტყვით, რომელშიაც იმედი გამოსთქვა, რომ განახლებული სპარსეთი შესძლებს არა თუ საბჭოთა მანქანების გამოყენებას, არამედ ჩქარა დაიწყებს საკუთარი მანქანების კეთებას.

თავის პასუხში სპარსეთის პრემიერმა აღნიშნა უდიდესი დახმარება, რომელიც გაუწია სპარსეთს საბჭოთა რუსეთმა და განაცხადა, რომ სპარსეთის ხალხი ნაყოფიერად გამოიყენებს საბჭოთა სასოფლო სამეურნეო მანქანებს. პრემიერმა ამხ. შუმიაცკის დიდი მადლობა გადაუხადა იმ ენერგიულ დახმარებისათვის, რომელიც გაუწია საბჭოთა რუსეთმა სპარსეთის გამოფენას და სპარსეთის ხალხს გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაცნობის საქმეში.

მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთის კომპარტიაში.

პარიზი. 17 დეკემბერი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა პროტესტი საფრანგეთის ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენლის დორისის დაპატიმრების გამო: უკანასკნელს ბრალი დასდეს ანტიმილიტარისტული წერილების და ბეჭდვაში. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ის სოლიდარობას უცხადებს საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ანტიმილიტარისტულ მოქმედებას და კისრულობს პასუხისმგებლობას დორისის წერილებისათვის, რომლებშიაც აღნიშნულია მოწოდება არმიისადმი გაფიცვის და გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრებაზე უარის თქმის შესახებ.

პარიზის პოლიციაში.

პარიზი. 17 დეკემბერი. მთავრობის რეპრესიები პარიზის პოლიციელების მიმართ გრძელდება. სამსახურიდან დაითხოვეს კიდევ 55 კაცი. პოლიციელების ფედერაციამ განაცხადა, რომ ის ენერგიულად იბრძოლებს სხვა მოხელეებთან ერთად მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

Книжн. Федер. Грузии

სხვადასხვა

ლიტვა

სკოლების დახურვა

კოვნო. 17 დეკ. გაიმართა მთელი რიგი საპროტესტო მანიფესტაციებისა და მიტინგებისა პოლონეთის ხელისუფლების მიერ ლიტვის სკოლების და სხვა კულტურულ დაწესებულებების დახურვის გამო ვილნოს ოლქში. ორატორები მოითხოვდენ ამგვარივე ზომების გამოყენებას პოლონეთის სკოლების მიმართ ლიტვაში.

ფინეთი

კომუნისტების პროცესი

ჰელსინგფორსი, 17 დეკ. აბოში ჩავიდა შვეციის ადვოკატი გეორგ ბრანტინგი, რომელიც დაიცავს კომუნისტებს მომავალ პროცესზე.

პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს, ბრანტინგმა განაცხადა, რომ ის უპარტიოა და ჩამოვიდა აბოში შვეციის კომუნისტების თხოვნის თანახმად; მისი ჩამოსვლის მიზანია ფინეთის კომუნისტების დაცვა მომავალ პროცესზე.

შვეცია.

კატა დალსტრემის დასაფლავება.

სტოკჰოლმი. 17 დეკემბერი. სტოკჰოლმის კრემატორიუმში მოხდა კატა დალსტრემის დასაფლავება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტური ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენლებმა და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლებმა. კუბოს მიჰყვებოდა მრავალრიცხოვანი პროცესია. სიტყვები წარმოსთქვეს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წარმომადგენელმა ამხ. ალექსანდროვმა და შვეციის და ნორვეგიის კომპარტიის წარმომადგენლებმა.

იაპონია

ფეიქართა გაფიცვა.

ტოკიო. 17 დეკემბერი. ოსაკაში ჩაქრეს ფეიქართა გაფიცვა მუშების 20 ბელადის დაპატიმრების შემდეგ.

იაპონიის ზარალი.

ბერლინი. 18 დეკემბ. იაპონიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა პარლამენტში, რომ მიწისძვრით მიყენებული ზარალი უდრის 10 მილიარდ იენს. ტოკიოს უნივერსიტეტის ზარალი უდრის 48 მილიონ იენს.

სამხრეთი ამერიკა.

მიწისძვრა.

ბერლინი. 18 დეკემბ. დასავლეთ კორდილიერებზე, ეკვატორისა და კოლუმბიის საზღვარზე, ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისძვრას. სრულიად დანგრეულია ქალაქი კუმბალი. ჯერჯერობით ნაპოვნია 90 მკვდარი; დაჭრილია 200 დე კაცი. დანგრეულია აგრეთვე ახლო მდებარე სოფლები. ამოხეთქა ორმა ჩამქრალმა ცეცხლის მფრქვევმა მთამ. მიწისძვრა საგრძნობი იყო ჩილის საზღვრებამდი.

საიდუმლო ხელშეკრულება სამხრეთ სლავიის წინააღმდეგ.

ვენა. 17 დეკემბ. სამხრეთ სლავიის გაზეთების ცნობებით, იტალიამ და ბულგარეთმა ურთიერთ შორის დასდვეს საიდუმლო ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ. ხელშეკრულების თანახმად, ორივე სახელმწიფოები ვალდებული არიან დაეხმარონ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი მსხვერპლი გახდება სამხრეთ სლავიის თავდასხმისა, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ბულგარეთის ტერიტორიას მისაკუთრებს ბალკანეთის რომელიმე სახელმწიფო.

ბულგარეთის ელჩი ბელგრადში უარყოფს ხმებს ამ ხელშეკრულების შესახებ.

მექსიკა.

პრეზიდენტი გაიქცა

ბერლინი. 18 დეკემ. უკანასკნელ ცნობების თანახმად, პრეზიდენტი ობრეგონი გაიქცა სატახტო ქალაქიდან. კონგრესის წევრთა უმრავლესობა გაემგზავრა ვერა კრუცში, რომ იქ დაამტკიცოს ობრეგონის ჩამოგდება.

აჯანყებულთა წარმატება.

რომი. 18 დეკ. ვერა-კრუციდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა დასტოვეს სან-მარკოსი და დაანგრიეს რკინისგზის ხაზი. აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი.

იტალია

ყოფილი პრემიერები არჩევნებში.

რომი. 18 დეკემბერი. ყოფილი პრემიერები ჯიოლიტი და ორლანდო ადგენენ საკუთარ საარჩევნო სიებს. სალანდრა შევა სამინისტროს სიაში. ნიტტი, რომელიც ცხოვრობს გერმანიის შვეიცარიაში, უცდის პასპორტის მიღებას. დემოკრატიული ბლოკის სათავეში იქნებიან ბონომი და ამენდოლა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 17 დეკემბერი. 12 დეკემბერს ბაქოს ყველა სამრეწველოებზე ამოღებული იყო 679,000 ფუთი ნავთი. გამოსახდელად მიშვებული იყო 388,000 ფ. გამოხდილი დაბრუნებულა 384,000 ფ. დაწმენდილა 64,000 ფ. ბურღვაზე მუშაობდა 181 დაზგა. ჩაუბურღიათ 72 საჟენი.

შაქარი.

ბაქო. 17 დეკემბერი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ ხარკოვის შაქრის ტრესტისაგან მიიღო 30,000 ფუთი ფხვნილი შაქარი.

სომხეთი

წესიერი ნადირობის საზოგადოება.

გუმბრი. 17 დეკემბერი. გუმბრში არსდება წესიერი ნადირობისა და პირუტყვთა მფარველი საზოგადოება.

ზრუნვა უპატრონო ბავშვებზე.

ერევანი. 16 დეკემბ. სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ამ კომიტეტთან დაარსდა სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა, ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს წესდება სომხეთის უპატრონო ბავშვთა სამზრუნველოსი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(18 დეკემბერი).

ჩერვონცები — —	305,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	300,000
ჩეკები —	297,000
დოლარები ეფექტ. —	68.500
ჩეკები —	65.000
ოსმ. ქაღ. ლირა	40.000
იტალიური ლირა	2200
ფრანგული ფრანკი	3300
საბჭ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

მოსკოვის ფასები.

პური 1 ხარ.—1500 ათ., პური 2 ხარ —1250, ძროხის ხორცი—4,500 ათ. ცხვრის ხორცი—6000 ათ., შაქარი რაფინადი—14,300 ათასი, ფხვნილი შაქარი—9,100 ათ ვერმიშელი—4150 ათ. ბრინჯი ადღ.—2200. ათ. კარტოფილი—450. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—2 მილ. პური 2 ხარ. —1.500 ათ., ძროხის ხორცი 5500 ათ. ცხვრის ხორცი—6600 ათ., შაქარი. რაფინადი—14,500 ათასი., ფხვნილი შაქარი—11—12 მილ., ვერმიშელი 4,500 ათ., ბრინჯი ადღ.—3 მილ., კარტოფილი—600 ათ.

ბირჟის მიწოდება.

სინკაპურის პილპილი. კაკაო-ზეთი კაკაო (მართვალი). პარაფინა. მავთული. პურის სპირტი (300000 გრ.) შვეიცარ. ყველი., სარეპტის მდოგვი. „კოჟსინდიკატი"-ის პროდუქცია. შაქარი რაფინ. 1 ხარ. ყურაგა. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. საშენებელი ლურსმნები. შაქარი ფხვნილი „იავა". შაბიამანი. ჩაი რუს. მანუფაქტურა. რუს. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.) ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. ყუბანის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი. ოზურგეთის ჩაი. საბზა. კვებრახის ექსტრატი. ცინკი. აგური.

ბირჟის მოთხოვნილება.

საბზა. ყურაგა ხორბალი და სხ. პურეულობა ტექნიკ. ცხიმი. „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია. შაქ რაფ. ფხვნილი. რუს. მანუფაქტურა, სალომასი. მზესუმზირას ზეთი: პორტლანდის ცემენტი. ყუბანის ფქვილი. (საკანდიტერო) ფქვილი არაყი (1.000.000 გრად). საშენებელი ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

ნედლი ტყავი—36 მ. ფუთში. ფრანკო-გამყიდველის საწყობი. კვებრახის ექსტრატი—9 მ. 80 კ. ფუთი. შაქარი რაფინადი რუს.—17 მ. 75 კაპ. ჩერვ. ფუთი. შაქარი ფხვნილი იავის —12 მ. 25 კ. ფუთი. შაქარი რაფინადი 2 ხარ —14 მ. 75 კ. ფუთში. ფეხსაცმელი —12 მან. წყვილი. ფეხსაცმელი იუფტის—24 მ. 72 კაპ. წყვილი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—გაცხოველებულია.

ვალიუტის ბირჟის განწყობილება

განაგრძობს ჩერვონცების და უცხო ვალის კურსის მომატება.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

15 დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 32 გარიგება, სულ 172.106 მან. ჩერ. თანხისა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(18 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	305 000,	60 კ.—	18 300 000
2 „—	610 000,	70 „—	21 350 000
3 „—	915 000,	80 „—	24 400 000
4 „—	1.220.000,	90 „—	27 450.000
5 „—	1.525.000,	1 მ.—	30 500.000
6 „—	1.830.000,	2 „—	61 000.000
7 „—	2 135 000,	3 „—	91 500 000
8 „—	2.440 000,	4 „—	122 000.000
9 „—	2.745 000,	5 „—	152 500.000
10 „—	3.050 000,	6 „—	183 000 000
20 „—	6 100 000,	7 „—	213 500 000
30 „—	9.150.000,	8 „—	244 000.000
40 „—	12 200.000,	9 „—	274 500.000
50 „—	15.250.000,	1 ჩერ.	305.000.000

ბირჟის კვირეული

(10—16 დეკემბ.)

ამ კვირის განმავლობაში ბირჟის კრებებს დაესწრო 247 წევრი და 91 გარეშე პირი. დადებულია გარიგებანი: საფონდო—294 და საქონლის—27 საფონდო გარიგებების ჯამი უდრის — 13510 ჩერ. მან.., ან 361209250 ათასი მან. ა. კ. ბონებით; საქონლის გარიგებების ჯამი—313116 ჩ. მან. ან 8011835490 ათ. მან ბონ., სულ 448,626 მ., 67 კ., ან 11623927990 ათ. მან. ბონ.

მყიდველები იყვნენ: სახელ. დაწესებულ.—139, კოოპერატივები—83, საზოგადო ორგანიზაც.—17 და კერძო პირნი—142.

გამყიდველები: სახელ. დაწესებ.—283, კოოპერატივები—1, საზოგ. ორგანოები—8 და კერძო პირნი—24.

იყიდეს ვალიუტა: სახელ. დაწესებულებებმა—86479 მანეთის, კოოპერატივებმა—6780 მ., საზ. ორგან.—5785 და კერძო პირებმა—36466 მან. გაყიდეს ვალიუტა: სახელ. დაწესებ.—83084 მ., კოოპერ.—9900, საზ. ორგანიზ.—7108 და კერძო პირებმა—35418; იყიდეს საქონელი: საკ. დაწესებ.—225586 კოოპერ.—1425 მ., საზ. ორგან.—5986 და კერძო პირებმა—79818 მ., 91 კ., გაყიდეს საქონელი: სახელმწიფო დაწესებულებებმა—313116 მ., 67 კ.

ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოში.

ჯაგარის და ბეწვეულის დამზადება.

სავაჭრო სამმართველომ დაიწყო ჯაგარის და ბეწვეულის დამზადება. ჯაგარი განაწილებული იქნება ხარისხობით და იმ სახით დამზადებული, როგორც მოითხოვს ევროპიული ბაზარი. ჯაგარის და ბეწვეულის შესყიდვა და დამზადება სწარმოებს ტფილისში. გარდა ამისა ჯაგარის და ბეწვეულის დამზადება სწარმოებს ქუთაისში, კახეთში, განჯაში და ნუხაში.

შაქრის რეალიზაცია.

სავაჭრო სამმართველომ წინადადება მისცა სავაჭრო განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა თავრიზში გადაზიდულ იქნეს 20 000 ფუთი ფხვნილი შაქარი, რომელიც შესყიდულია ლონდონში. უკეთუ ეს ოპერაცია ვერ მოხერხდება, შაქარი შესყიდული იქნება უკრაინაში.

ნავთის რეალიზაცია.

ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთისთვის ნავთის თვიური მოთხოვნილება განისაზღვრება 12.000 ფუთით. სავაჭრო სამმართველოს მიერ მიღებულია ზომები, რათა რეგულიარულად მოამარაგოს სპარსეთი კეროსინით.

მიწის შეძენა თავრიზში.

სავაჭრო სამმართველომ დაიწყო მოლაპარაკება თავრიზში მიწის იჯარით აღების შესახებ, კეროსინის საწყობისთვის.

ხახვის შესყიდვა სპარსეთში.

დასამზადებელ გეგმის მიხედვით დამზადებული იქნება 30.000 ფ., საბზა, რუსეთში გასასაღებლად.

საექსპორტ-იმპორტო გეგმა.

მომავლის წლის საექსპორტ-იმპორტო გეგმა გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას განსახილველათ რათა ექსპორტი და იმპორტი გათანასწორებულ იქნენ.

ა. კ. სახელმწიფო დაწესებულებების, კოოპერატიულ ორგანიზაციების და ა. კ. ფედერაციის ტერიტორიაზე მომქმედ სინდიკატების და ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი.

ამ დღეებში მოხდა ა. კ. სახელ. დაწესებულებების, კოოპერატიულ ორგანიზაციების, სინდიკატების და ტრესტების წარმომადგენლების თათბირი, ა. კ. შინაგან ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარის ამხ. ივანიანის თავმჯდომარეობით. ამხ. ივანიანმა აუხსნა დამსწრეთ თათბირის მიზანი, რომელიც გამოიხატება სახელ. დაწესებულებების და ტრესტების წარმომადგენლების ერთმანეთთან გაცნობაში და ამასთან ერთად იმ საკითხების გამოკვლევაში, რომლებიც დაკავშირებული არიან შექმნილ ეკონომიურ კრიზისთან, ამ ჟამად არსებული ეკონომიური კრიზისი ადგილობრივ მოვლენას კი არ წარმომოგენს, არამედ მას მსოფლიო ხასიათი აქვს, მაგრამ ამ კრიზისის ლიკვიდაცია ჩვენში სხვა მეთოდებით უნდა მოხდეს, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

ამხ. ივანიანმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო მოსკოვში საქონლის ფასები დაეცა. საჭიროა ეხლა გამოვარკვიოთ, თუ როგორ იმოქმედა ამ მოვლენამ ტფილის ფასებზე. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება საკითხი: საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების და ადგილობრივ მრეწველობის პროდუქციის ფასების შედარება-შეფარდება. საჭიროა აგრეთვე კრედიტის, დამატებითი ხარჯების და სხვ. საკითხების გამოკვლევა. სწორედ ამ მიზნების განხორციელებისათვის დაარსდა ა. კ. შინაგან ვაჭრობის კომისია, რომელიც თავის მომავალ მოქმედებაში მკაცრად გაატარებს თავის სავაჭრო პოლიტიკას ფასების დაკლების და დამატებითი ხარჯების საკითხებში. ამასთან ერთად სავაჭრო კომისია იმედოვნებს, რომ თვით ტრესტები და სინდიკატები გამოიჩენენ უაღრეს კეთილ ნებისყოფას სწორი ფასების დადებაში.

ამის შემდეგ ამხ. ივანიანმა წარუყენა ტრესტების წარმომადგენლებს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც თათბირისთვის ინტერესს წარმოადგენდნენ, სახელდობრ: როგორ იქნა გატარებული ფასების დაკლება შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, რამდენი პროცენტით დაკლებულია ტრესტის-მიერ საქონლის შეფასება ფრანკო-ფაბრიკა; რამდენი პროცენტით გამოიხატება დამატება ტრესტის პრეისკურანტის ფასებზე ადგილობრივ გაყიდვის დროს, რამდენი პროცენტი ემატება საბითუმო ფასებს, წვრიმალათ გაყიდვის დროს; საქონლის მყიდველების ჯგუფები (სახელ. დაწესებულებები, კოოპერატივები, კერძო ბაზარი); კრედიტობის სისტემა; კრედიტათ გაცემულ საქონლის განაწილება სხვადასხვა დაწესებულებებათა, კოოპერაციის და კერძო პირთა შორის; რამდენად განირჩევიან მოსკოვის და ადგილობრივი ფასები.—

ამ კითხვებზე პასუხი გასცეს რუს. ყველა ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლებმა, რომლებიც თათბირს დაესწრნენ და მოკლედ განმარტეს, რა პირობებში ხდება მათი მოქმედება ამიერ-კავკასიაში.

მიიღება 1924 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე"

ხელისმომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წინდაწინვე, დაურიგდებათ შემდეგი

პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი"-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი";
2) ალ. წულუკიძე —ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი —კარლ მარქსი;
5) გ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწილებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩირაღდანს"

გარდა ამისა

სამი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2. გ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

გაზეთი ღირება:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით
2 „ 3 მან. — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —
4 თვით 6 მან. ჩერვონეცით
5 „ 7 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისათვის ღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრებ ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის დამატებით თვიურად, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად. 20—3

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი პ. საბაშვილი.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს კონკურსს

ლენინის ძეგლის ესკიზისას, რომელიც უნდა იქნეს დადგმული ამ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში. ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს.

1-ლი ჯილდო 100 მან. ბაჯაღლოს ოქრ.
მე-2-ე ჯილდო 80 „ „ „
მე-3-ე ჯილდო 50 „ „ „

ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელ დროთ დანიშნულია 1924 10 იანვარი.

ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.

784—4—1 პრეზიდიუმი.

საქართველო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

16 დეკემბერს სამეურნეო საზოგადოების შენობაში აგრონომ ი. ზ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მოხსენება შესახებ იმისა თუ, „როგორ წარსდგა საქართველო რუსეთის ს. სამეურნეო გამოფენაზე".

მომხსენებლის აზრით რუსეთის ს. სამეურნეო გამოფენამ თავისი დანიშნულება სავსებით გაამართლა.

მთავარი დამახასიათებელი თვისება ამ გამოფენისა იყო ის რომ წვრილ გლეხური სასოფლო მეურნეობა აქ თავისი სიგრძე-სიგანით წარმოდგენილი იყო.

სრულებით უდავო შეიქნა ამ გამოფენის შემდეგ, რომ სასოფლო მეურნეობაში მომქმედი ძალები აღორძინებულა და საჭიროა მათთვის მხოლოთ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფართე დახმარება.

სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელება და პროპაგანდა გამოფენაზე უმაგალითოდ იყო დაყენებული.

მნახველების რიცხვით დღევანდელი გამოფენა გაცილებით აღემატებოდა რუსეთის წინა გამოფენებს. ეს რიცხვი დაახლოვებით 600 ათას კაცს უდრიდა, რომლიდან მეტი რიცხვი მუშა და გლეხი იყო.

დარიგებულ იქნა უამრავლესი სასოფ. სამეურნეო შინაარსის წიგნაკი და ფურცლები.

სიტყვიერი პროპაგანდა გამოიხატებოდა ურიცხვ ლექციებში, მიტინგებში და საუბრებში, რომლებიც მრავლათ იმართებოდა, როგორც თვითგამოფენის მიწაწყალზე ისე მის გარეთ, საუკეთესო პროფესორების და მცოდნე პირების ხელმძღვანელობით.

მოსკოვის გამოფენა —ეს იყო უზარმაზარი აუდიტორია, სადაც მნახველი ეცნობებოდა სიტყვიერათ და თვალსაჩინო მაგალითებით იმას, თუ როგორ არის დაყენებული მოკავშირე რესპუბლიკებში და როგორ უნდა იყოს დაყენებული გაუმჯობესებულ სასოფლო მეურნეობაში მემინდვრეობა, მეველეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა, მევენახეობა და სხვა მრავალი დარგი.

საქართველოს პავილიონი თავისი შენობით და შინაარსით იპყრობდა საერთო ყურადღებას. შენობებში ყველგან მტკიცეთ დაცული იყო წმინდა ქართული ხასიათი, რაიც მას უფრო მიმზიდველს და შინაარსიანს ხდიდა. კახური, იმერული, ქართლური და სვანური ბინადრობა და საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, ბუნებრივი სიმდიდრე და ახლად ჩასახული სხვადასხვა წარმოება მთლიანად იყო წარმოდგენილი და მნახველს საქართველოს სრულ სურათს უყენებდა თვალწინ, განსაკუთრებით მდიდრათ იყო წარმოდგენილი აჭარისტანი—თავისი თბილ ქვეყნების და ძვირფას განსაკუთრებული მცენარეულობით. მიუხედავად უსახსრობისა საქართველოს პავილიონი მაინც პირველ რიგში მოჰყვა და საგამომფენო მთავარ კომიტეტის მხრივ დიდი ყურადღება დაუმსახურა.

საქართველოს პავილიონმა 44 ჯილდო მიიღო, რომლიდან პირველ ხარისხისა—15, მეორისა—11, მესამისა—11 და მეოთხისა—5 და ორიც კერძო პირებს.

პირველ ხარისხის ჯილდო მიიღო ბოტანიკური ბაღმა, საქართველოს რესპუბლიკამ, მიწათმოქმედების კომისარიატმა, მეაბრეშუმეობის სადგურმა, აჭარისტანმა, კოოპერატივმა „კახეთმა", ოსურ ძროხამ და სხვ.

ამისთანა დამაკმაყოფილებელ შედეგს მოჰყვა ის, რომ საქართველ თავისი ბუნებრივ სიმდიდრით მრავალი დააინტერესა.

დღეს უკვე ჩანს სხვადასხვა დარგებ მიერ მიღებულ შეკითხვებიდან, რო საბჭოთა რუსეთის ბევრს წარმოება სურს საქართველოსთან დაახლოებ მოითხოვენ უფრო დაწვრილებ ცნობებს და პირობებს ამა თუ ნედლ მასალის ან საქონლის შესახ ასეთია მაგალითად: ჩაი, ფუტკა აჭარის მცენარეულობა, კონიაკი, ტყე, საფანქარო ხე და სხვა.

საქართველომ გამოფენაზე დასწრებით დიდი სარგებლობა ნახა, რადგან ამის მეოხებით მას საშუალება მიეცა გაცნობოდა რუსეთის სასოფლო მეურნეობას თავის აგრონომების, გლეხის, მუშის და სტუდენტობის საშუალებით, რომელიც მან მრავლად გაგზავნა იქ და თავისი-თავიც გაეცნო საკავშირო რესპუბლიკისთვის. გარდა ამისა მიწათმოქმედების კომისარიატს საშუალება მიეცა იქონიოს თავისათვის სასოფ. სამეურნეო მუზეუმი, რადგან მეტი წილი გამოფენაზე გაგზავნილ ნიმუშებისა გადაეცა ამ ახალ მუზეუმს, ზოგი კი სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მოხსენებას გრავალი ხალხი დაესწრო და მოხსენებელი უხვ ტაშისცემით დააჯილდოვეს.

ა.

პროფკავშირებში

ურთიერთობის გაცხოველება პროვინციასთან.

საქ. პროფსაბჭომ დაადგინა გამოიწვიოს სამაზრო პროფბიუროების პასუხისმგებელი მდივნები თავიანთი მოქმედების შესახებ მოხსენებათა გასაკეთებლად.

ზუგდიდისა და სენაკის პროფბიუროს მდივნები დაბარებული არიან 18 დეკემბრისათვის; ფოთის და ოზურგეთის 20 დეკემბრისათვის; ქუთაისის და გორის 23 დეკემ., ბათომის და ახალციხის—25 დეკემბერს., ახალქალაქის და ბორჩალოს 28 დეკემბ., სოხუმის და რაჭის—30 დეკემბ., ჭიათურის და ლეჩხუმის—5 იანვარს., ცხინვალის და დუშეთის—3 იანვარს, სიღნაღის, თელავის და ბორჩალოსი 10 იანვარს, ბათომის, სამტრედიის, ხაშურის და თელავის რ. | გზის მუშაკების პროფკავშირთა ბიუროების მდივნები—12 იანვარს.

ამგვარივე სისტემით მოსმენილი იქნება კავშირთა ცენტ. გამგეობების მოხსენებები კავშირთა პასუხისმგებელ სხდომებზე.

სამაზრო პროფბიუროების განახლება.

პროფსაბჭომ გადასწყვიტა, საქართველოს მაზრების პროფბიუროების გასანახლებლად ყოველ მაზრაში 15 იანვრისათვის მოწვეულ იქნეს კონფერენციები.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა დეტალურად შეიმუშაოს კონფერენციების მოსაწვევი წესრიგი.

ადგილკომების არჩევნები.

პროფსაბჭოს სამდივნომ გადასწყვიტა მოახდინოს ადგილკომების ხელახალი არჩევნები 1924 წლის 1 იანვრამდე.

კავშირის ცენ. გამ. ბუღალტერიის და ანგარიშების გადასინჯვა.

პროფსაბჭოს სამდივნომ გამოჰყო სპეციალური კომისია საქართველოს პროფკავშირების ბუღალტერიის და ანგარიშის წარმოების გადასასინჯად.

ჭიათურის მუშაკები.

საქ. პროფსაბჭოს სამდივნომ და

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩევნების შედეგები მე-2 რაიონში

ტფილისის საბჭოს საარჩევნო კომისიამ ამხ. ამხ. მასხულიას (თავმჯდომარე), ნაზაროვის და გაგნიძის შემადგენლობით, შეუდგა საარჩევნო მუშაობას 5 დეკემბერს.

არჩევნები მოეწყო 51 წარმოებასა და დაწესებულებაში. ამ რიცხვში არ შედის უმაღლესი სასწავლებლები, მუშფაკები, ელექტრო-სადგურები, განათლების მუშაკნი, რომელნიც მე-4-ე რაიონში ერთდებიან.

ყველა დაწესებულებაში გაკეთებულ იქნა მოხსენება სხვადასხვა ამხანაგთა მიერ ტფილისის საბჭოს (მე-3-ე მოწვევის) წარსულ მოღვაწეობაზე მასის (მუშებისა და ინტელიგენციის) სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალულია.

მთელს რაიონში, ზემოჩამოთვლილ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების გამოკლებით, აღრიცხულ იყო 7194 ამომრჩეველი.

ამ რიცხვიდან არჩევნებზე გამოცხადდა 6109 ამომრჩეველი. ე. ი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 87 პროცენტი.

არჩეულია საბჭოში 79 წევრი და 19 კანდიდატი, რომელთაგან ვაჟი—69 აა, ქალი—10, კანდიდატებიდან 13 კაცია, ხოლო 6 ქალი. პარტიულობის მიხედვით—ს. კ. პ. წევრები და კანდიდატები—62-ა, ახ. კომ. კავ. წევრები—3, უპარტიო—14, აქედან 4 ყოფილი მენშევიკი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშა—55, ინტელიგენტი—24.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—35 (46 პროცენტი), სომეხი—15 (21 პროცენტი), რუსი—21 (26 პროცენტი), ებრაელი—3, ოსი—1, გერმანელი—1, პოლონელი—1, ლატიში—1, ასირიელი—1,—სულ მცირე ერების წარმომადგენელნი—8 (ე. ი. 7 პროცენტი).

არჩეულია საბჭოს 44 ყოფილი წევრი. წერაკითხვის მცოდნე—44. წერაკითხვის ოდნავი მცოდნე—12.

ევნა ქიათურის მეურნეთა ადგილობრივი ორგანიზაცია სამაზრო პროფბიუროსთან და აწარმოოს გათმში კულტმუშაობა.

დროებით, ყველა საკითხების გარკვევამდე, რომელთა მეურნეების ორგანიზაციასთან აქვს კავშირი, მეურნეთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია არც ერთ საწარმოო კავშირში არ შევა.

კონფლიქტი

წყალზე მომუშავეთა და მეტსასპორტეებს შორის არსებულ გამწვავებული კონფლიქტის მოსაგვარებლად, პროფსაბჭოს სამდივნომ სთხოვა შრომის სახ. კომს. დაუყოვნებლივ გაგზავნოს ამხ. მიქ ძე.

კულტმუშაობის ჩაშლისათვის.

პროფსაბჭოს სამდივნომ კავშირიდან გარიცხა წითელარმიელთათვის გამართულ საღამოს ჩაშლისათვის ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრნი: გაბაშიძე, მელიქ-ფაშაევი, სოგომონოვი, ერმოლაევი და მანკუშინი.

საყვედური გამოეცხადა და გაფრთხილებულ იქნენ აგრეთვე მოქ. მოქ დემიანენკო, თუმანოვი და იმერელი.

გადაწყდა ეს დადგენილება ეცნობოს პრესას, მე-9 პოლკს, ვიტ.—ლაზარეთს, პოლიტ-სამდივნოს და სხვებს.

პროფსაბჭოს გაფართოვებული პლენუმი

17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა პროფსაბჭოს პლენუმის სხდომა საქარხნო კომიტეტებისა და სამეურნეო ორგანოების თანდასწრებით. თავმჯდომარეობდა ამხანაგი ყურულაშვილი. დღის წესრიგში იყო 1) კავშირების ეკონომიური ამოცანები და 2) მოხსენება მუშკოოპის მოქმედების შესახებ.

კავშირების ეკონომიური ამოცანები.

(მოხსენება ამხ. ჟულელისა)

პროფკავშირების საწარმოო მუშაობიდან ჩამოშორება და მისი მიზეზები.

ამხ. ჟულელი აღნიშნავს პროფკავშირების საწარმოო მუშაობიდან ჩამოშორებას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში.

[illegible] პირველ ხანებში კავშირებმა მიითვისეს სახელმწიფოს ფუნქციები, ხოლო ახ. ეკონ. პოლიტიკის შემოღების შემდეგ, კავშირებმა თავის მოქმედების მთავარ ამოცანად გაიხადეს თავიანთ წევრთა ეკონომიურ ინტერესების დაცვა. სწორედ ასეთ წმინდა ობიექტიურ მიზეზებით აიხსნება პროფკავშირების საწარმოო მუშაობასთან კავშირის გაწყვეტა.

სამეურნეო ორგანოების ნაკლულევანებანი.

კოლლექტიურ ხელშეკრულებათა პროცესში კავშირებს ემჩნეოდათ თავის წევრთა ინტერესების დაცვაში დიდი სიმტკიცე, ხოლო სამეურნეო ორგანოები და მათი ხელმძღვანელნი იჩენდნენ სისუსტეს და ვერ ამართლებდნენ თავიანთ დანიშნულებას.

იყო შემთხვევები, როცა სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელნი დაუკმაყოფილებლად და უსაფუძვლოთ კავშირებს დიდ მოთხოვნილებებს უყენებდნენ. ეს გარემოება სრულიად ვერ აუმჯობესებდა მუშათა მდგომარეობას და ანგრევდა მეურნეობას, რასაც შედეგათ ხელფასის შემცირება და მუშათა შტატის შემოკლება მოჰყვებოდა ხოლმე.

მრეწველობის და ბაზრის მდგომარეობა.

დღეს დღეობით მრეწველობის მდგომარეობა მეტად სავალალოა. უნდა გამოინახოს ღონისძიება და საშუალებანი მის გასაჯანსაღებლადა; როგორც პროფკავშირებმა, ისე სამეურნეო ორგანოებმა ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

მასებისათვის, განსაკუთრებით გლეხებისათვის მოსახმარ საგნების დიდი საჭიროების მიუხედავათ, ჩვენში ადგილი აქვს ნაწარმოების დაგროვებას მისი გაუსაღებლობის გამო რით აიხსნება ეს გარემოება? გლეხის სყიდვითი უნარიანობის დაკარგვით: სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასი მეტად დაშორდა სამრეწველო პროდუქტების ღირებულებას, პირველი ხუთჯერ და ექვსჯერ უფრო ნაკლებ ფასობს, ვიდრე მეორე მშვიდობიან დროსთან შედარებით. შედეგი ის არის, რომ გლეხი მოკლებულია საშუალებას იყიდოს რამე.

ფასის ის მექანიკური დაცემა, რომელიც დღეს ტარდება, ვერავითარ ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. საჭიროა უფრო რადიკალური ზომები.

რა აძვირებს მრეწველობის პროდუქტებს.

ღრმად სცდებიან სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელნი, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს ხელფასის გადიდება აძვირებდეს მრეწველობის პროდუქტებს.

მუშის ხელფასი საშუალოთ აღწევს ომის წინა დროის საშუალო ხელფასის მხოლოდ 35—50 პროცენტს.

შრომის ნაყოფიერება კი უდრის მშვიდობიანი დროის შრომის ნაყოფიერების 70—80 პროცენტს.

ხელფასს შეეძლო ხელი შეეწყო ფასების შემცირებისთვის.

საქონლის გაძვირება და წარმოების კრიზისი აიხსნება ჩვენი სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა გამოუცდელობით, დამატებითი ხარჯებით, ფრახტით, გადასახადებით, აქციზით და სხვა.

მხოლოდ მტკიცე კვალიფიკაციით და დამატებით ხარჯების მაქსიმალური შემცირების გზით შეიძლება მოხერხდეს საქონლის რეალური და არა მექანიკური გაიაფება.

დღევანდელ პირობებში პროფკავშირები თავის გამოცდილებით უნდა დაეხმარონ სამეურნეო ორგანოებს წარმოების გამაჯანსაღებელ მუშაობაში. რუსეთის ცენტრ. პროფსაბჭოს და შრომის თავდაცვის (СТО) საბჭოს ცირკულიარულ მიმართვაში გათვალისწინებულია ყველა ის ზომები, რომელნიც ფეხზე წამოაყენებენ ჩვენს მეურნეობას.

საქართ. პროფკავშირებს საკმაო ღვაწლი მიუძღვის მეურნეობის გაჯანსაღებაში.

დიდი ხანი არ არის, რაც თამბაქოს ტრესტმა ვალიუტის ვაკხანალიის დროს სრულიად დაჰკარგა შინაური ბაზარი. პროფსაბჭოს ეკონომიურმა განყოფილებამ მოაწყო თათბირი, რომელზედაც გამონახულ იქნა ჩიხიდან გამოსასვლელი საშუალება. მაშინ, როცა თამბაქოს ტრესტს ჰქონდა სრული შესაძლებლობა ბაზარზე გამოეტანა გასასაღებლად 100 მილიონი საწევი ერთეული, გამოუშვა მხოლოდ 35 მილიონი და პაპიროსი, რომელიც 5 კაპეიკი უნდა დამჯდარიყო, ჯდებოდა 25 კაპეიკი.

ქარხნების კონცენტრაციას და მუშაობის გაჯანსაღებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ადგილობრივ პაპიროსზე ფასმა 60 პროცენტით დაიკლო. ამჟამად არა თუ უზრუნველვყავით ჩვენი თამბაქოსათვის შინაური ბაზარი, არამედ დავიპყარით გარეშე ბაზარიც.

იგივე დაემართა სალითონო განყოფილებასაც, სადაც მთელ რიგ უსარგებლო დამატებითი მუშაობათა აღკვეთის შემდეგ, წარმოდგა შესამჩნევად დაწინაურება.

ეს მაგალითები ცხადჰყოფენ, რამდენად ძვირფასია საწარმოო საქმეობაში პროფკავშირების მონაწილეობა.

სრ. რუს. პრ. კავ. ცენტრ. საბჭო „СТО" ადასტურებენ ამ მოვლენას და წინადადებას იძლევიან უფრო დეტალურად ჩამოყალიბდეს თეზისები პროფკავშირთა მონაწილეობის საშუალებით წარმოების და ვაჭრობის გაჯანსაღების შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები ხაზს უსვამდენ საწარმოო მოსაქმეობაში კავშირების მონაწილეობის აუცილებლობას და დროულად სცნობდენ სრ. რ. პ. კ. ც. საბჭოს და „СТО"-ს ცირკულიარულ მიმართვას".

რეზოლიუცია

ამხ ჟულელის მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც ყრილობა იწონებს სრ. რ. პ. კ. ც. საბჭოს ცირკულიარულად აღნიშნულ ღონისძიებას წარმოების გასაჯანსაღებლად, და ამავე დროს ავალებს პროფსაბჭოს სავალდებულოდ გაუხადოს ყველა ჩვენს პროფ ორგანიზაციებს და სამეურნეო ორგანოებს ცირკულიარში დასახელებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

წინადადება ეძლევა აგრეთვე ყველა პროფკავშირს და ადგილკომს აწონ-დაწონონ ხსენებული ცირკულიარული მიმართვა და მისი მიხედვით შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი მომართვის ძირითად მუხლების ცხოვრებაში გასატარებლად.

წითელ ჯარში

№ ლეგიონი

პოლიტიკური მუშაობა.

№ ქართულ მსროლელ ლეგიონში პოლიტიკური განმანათლებელი, პარტიული და კულტურული მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას. წითელი მოლაშქრეების პოლიტიკური ცოდნის მისაღებად ყოველდღე დილის 8 საათიდან 9 საათამდე გუნდებში სწარმოებს ბაასი პოლიტიკურ განყოფილებიდან მიღებულ თემებზე.

შაბათს ტარდება სანიტარულ განმანათლებელი ხასიათის თემებზე ბაასი. რომ თემები სწორად იქნან გაშუქებული, ამისათვის სისტემატიურად დილის 11 საათზე იმართება პოლიტხელმძღვანელების „დილაობა", სადაც მუშავდება მეორე დღეს გასარკვევი კითხვები.

„წითელი კუთხეები".

ყველა ასეულებში არსებობს წითელი კუთხეები, რომელიც მორთულია რევოლიუციის ბელადების სურათებით, სხვადასხვა პლაკატებით, წარწერებით და ლოზუნგებით. აქ სწარმოებს სისტემატიურად ხმამაღლა კითხვა სხვადასხვა გაზეთების და იმართება ბაასი ამა თუ იმ საკითხებზე.

პარტიული მუშაობა.

ლეგიონში არის სამი კომუჯრედი, თვითეულ კომუჯრედს ჰყავს თვითეული პრეზიდიუმი. კომუჯრედების კრება იმართება კვირაში ერთხელ, კეთდება მოხსენება თანამედროვე და სხვადასხვა პოლიტ-საკითხებზე. კომუჯრედის კრება არჩევს აგრეთვე ადგილობრივად წამოჭრილ სხვადასხვა პარტიულ საკითხებს. ლეგიონში არსებობს აგრეთვე პარტწრეები, სადაც სწარმოებს მეცადინეობა. გაერთიანებული პარტიული კრება ხდება თვეში ერთხელ. კომუჯრედების ღია კრებებს ესწრება მრავალი უპარტიო წითელარმიელებიც. სიმპატია კომუჯრედების წითელარმიელთა მასაში დიდია. მათ აქვთ მჭიდრო კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან. თვითეული კომუჯრედი მიმაგრებულია ცალკ-ცალკე მესამე რაიკომის კომუჯრედებთან, ხშირად ხდება მათი გაერთიანებული კრებები. 4 სექტემბერს განათლების კომისარიატის კომუჯრედმა ლეგიონის კომუჯრედს მოუტანა საჩუქრად საწერი ქაღალდები, რვეულები, კალმისტარები, ფანქრები, მელანი და სხვა.

კულტურული მუშაობაც თავის სიმაღლეზე სდგას.

ლეგიონში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად არის კლუბი. კლუბის დარბაზი ძველად იყო ეკლესია, ამ ჟამად კი ასრულებს კულტურულ მოვალეობას. კლუბი მორთულია შესაფერისად. კლუბთან არსებობს შემდეგი წრეები: 1. დრამატიული, 2. პოლიტიკური, 3 მომღერალთა, 4. სპორტიული, და 5. სამხატვრო.

1. **დრამატიულ წრეში** ითვლება 30 წითელარმიელი. სწარმოებს ხშირად სტუდიური მუშაობა, წარმოდგენები იდგმება კვირაში ერთხელ, სადაც მონაწილეობას იღებენ წითელი არმიელებიც.

2. **ლიტერატურულ წრეში** ირიცხება 29 წითელარმიელი, წრეში ირჩევა სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებები, განსაკუთრებით ეგნატე ნინოშვილის. წრე აწყობს გასამართლებას—ამზადებს წითელმოლაშქრეებს საღამოებზე ლექსების წასაკითხავად და სხვა. ამ ახლო ხანში გაიმართა „ქრისტინეს" გამართლება, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ წითელლაშქრელები. გასამართლებამ ჩაიარა შესანიშნავად.

3. **პოლიტწრეში** ირიცხება 25 წითელლაშქარელი მეცადინეობა არის კვირაში ერთხელ. პოლიტწრე აწყობს პოლიტ-გასამართლებებს. წრის მიერ მოწყობილ იქნა გასამართლება ინსცენიროვკით „ოქტომბრის რევოლიუციის".

4. **სპორტიულ წრე.** სპორტიულ წრის მუშაობა ამ ახლო ხანში არ იყო დამაკმაყოფილებელი. მიზეზი იყო ხელმძღვანელის არ ყოლა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ეს ნაკლი გამოვასწორეთ და მუშაობა მიდის სასურველად.

ბრმებიც თვალებს იხილავენ.

ლეგიონში დამკვრელ ამოცანად გახდარია წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, თუ რამოდენიმე თვის უკან ლეგიონში მოვიდნენ რამოდენიმე ასეული ბრმა წითელარმიელები, რომლებმაც სრულიად არ იცოდნენ წერა-კითხვა—დღეს უკვე საუცხოვოდ კითხულობენ და სწერენ.

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე მოხდა უცოდინარების სალიკვიდაციო გამოცდები. ვინც გამოცდები ჩააბარა, დასაჩუქრებულ იქნენ სხვადასხვა საჩუქრებით. დარჩენილი უცოდინარების ლიკვიდაცია მოხდება თებერვლის თვეში, ასე, რომ ლეგიონში ამ ახლო ხანში უცოდინარი წითელმოლაშქრეები არ იქნებიან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო თავის სიმაღლეზე სდგას.

ლეგიონში არის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ნაწილი ღებულობს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. სამკითხველო ღარიბია ქართულ ლიტერატურით შედარებით რუსულ ლიტერატურის რაოდენობასთან. სამკითხველოში მუდამ სხედან თავისუფალი წითელარმიელები და კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

ჩვენი მუშაობა ხალხსაც გამოადგება.

ის პოლიტიკურ პარტიული და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომელიც მიდის № ლეგიონში, თავდებია იმისა, რომ ამხ. წითელ ლაშქრელები, როდესაც შეასრულებენ თავის სამხედრო სამსახურს და დაუბრუნდებიან თავიანთ კერას, ლეგიონიდან წავლენ, როგორც შეგნებული და კულტურული მოქალაქენი, რომლებიც თავიანთ შეგნებით და ცოდნით შეიტანენ თავიანთ წვლილს სოფლის მეურნეობის და სწავლა-განათლების აყვავებაში.

№ ლეგიონის სამხ. კორესპონდენტი
პეტ—დონი.

საბჭოთა სასამართლოში

ბიბილურის საქმე.

20 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში განხილულ იქნება საქმე: საგარეჯოს რაიონის მილიციის უფროსის ბიბილურის, იმავე რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის ტუნეიშვილის, აღმასკომის მდივანის ბაიდაშვილის და აღმასკომის წევრის გაბრიელოვის შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ მთელი რიგი დანაშაულის ჩადენა.

ბრალდებულ ბიბილურს ბრალად ედება შემდეგი: 1923 წ. 10 თებერვალს, მან მილიციის უფროსად ყოფნის დროს დააპატიმრა ვითომდა ქურდობისათვის მოქ. ანნეტა პავლიაშვილი და ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით მოახდინა მასზე ფსიქიური ზეგავლენა და გააუპატიურა იგი.

ტენიეშვილს ბრალი ედება იმაში, რომ 1923 წ. 13—14 თებერვალს ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით, მიითვისა საგამომძიებლო ხელისუფლების ფუნქციები და შეადგინა საქმის „გამოსაძიებლად", კომისია, რომელმაც ცალმხრივად გააშუქა მთელი საქმე.

გარდა ამისა, ცენიეშვილმა იმავე დროს დააპატიმრა სრულიად უმიზეზოთ მილიციის თანამშრომლები ვითომდა ცილისწამებისათვის.

ბაიდაშვილს და გაბრიელოვს ბრალად ედებათ იმ კომისიაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ფარავდა ბოროტმოქმედებებს და აგრეთვე უკანონოთ აპატიმრებდა მილიციის თანამშრომლებს.

საქმე გაირჩევა ამხ. ნასარიძის თავმჯდომარეობით; ბრალმდებლად იქნება დიდებულიძე, დამცველად—მ. დადიანი.

მეცნიერება და ტეხნიკა

„პატარა კერძო ლაბორატორია".

უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების უკანასკნელ ნომრებში მეტად საინტერესო ცნობები დაიბეჭდა ჯორჯ ფაბიანის ლაბორატორიის შესახებ. პატრონი ამ ლაბორატორიას უწოდებდა „პატარა კერძო ლაბორატორიას". მაგრამ მას ყველაზე ნაკლებ შეეფერება პატარა, რადგან 550 აკრი*) მიწა უჭირავს შტატ ილინოისში (ამერიკა), ჩიკაგოდან 40 მილის მანძილზე. ამ ლაბორატორიაში სწარმოებს მეტად საინტერესო ცდები და გამოკვლევები მეცნიერების ყველა დარგებში.

ლაბორატორიას უჭირავს 20 შენობა, გარდა გარაჟებისა, საძლებისა და სხვა შენობებისა. პირველი შეხედვისთანავე ყურადღებას იპყრობს შენობების უცნაური ფორმა; ასე, მაგალითად, ერთ შენობას კიბის მაგვარი ფორმა აქვს: თვითეული ზემო სართული გაცილებით ნაკლებია ქვედა სართულზე. ამრიგად მეორე სართულს გარს უვლის ტერასა, რომელიც ფაქტიურად პირველი სართულის დიდი ნაწილისათვის ჭერს წარმოადგენს.

დანარჩენ შენობებს ან კოშკი აქვთ მიდგმული ან ასეთივე უცნაური ფორმის არიან.

ცალკე შენობა უჭირავს მექანიკურ ლაბორატორიას, რომელიც სავსეა მანქანებით, ავტომატიური ხერხებით და სხვადასხვაგვარი ტეხნიკური მოწყობილობით.

ერთ-ერთი საინტერესო კუთხეს ამ „პატარა კერძო ლაბორატორიაში" წარმოადგენს „აკუსტიკური"**) ლაბორატორია, რომელსაც აგრეთვე უოლეს საბინის ლაბორატორია ეწოდება. პროფესორი საბინი ჯორჯ ფაბიანის მეგობარი იყო. უკანასკნელმა თავის მეგობრისთვის სპეციალური შენობა ააგო. შენობა ააშენეს თვით საბინის მიერ გამომუშავებული გეგმით. ლაბორატორია შესდგება ორი ცალკე შენობისაგან, რომლებიც ერთ ჭერქვეშ არიან მოქცეული. ხმების საცდელი ოთახი ძლიერ დიდია, სრულიად განცალკევებულია მეორე ოთახისაგან და მიწის ზედაპირს ქვევით იმყოფება. ხმამაღლა ლაპარაკი ამ ოთახში შეუძლებელია: ორი სიტყვის თქმასაც ვერ მოასწრებს კაცი, რომ ოთახი ივსება პირველი სიტყვების გამოძახილით. ამ გამოძახილის ხმის დაფარვა შეუძლებელია, რადგან თვითეული უფრო ხმამაღლა წარმოთქმულ სიტყვას ბახს აძლევს კიდევ უფრო ძლიერი გამოძახილი. აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ჩურჩულით. თითეული ორი-სამი სიტყვის შემდეგ უნდა შეწყდეს ლაპარაკი, რომ მიყუჩდეს გამოძახილი. მეორე ოთახში სწარმოებს ხმის ტალღების გავრცელების შესწავლა და ადამიანის სმენის გამოკვლევა. აქვე ცდების საშუალებით თვალსაჩინოდ ამტკიცებენ, რომ ყური არ არის უსათუოდ საჭირო, რომ ადამიანის ტვინმა შეიგრძნოს ხმის შთაბეჭდილებები. ერთ ერთი ლაბორანტი ლაპარაკობს მიკროფონში, მეორე ჯდება სავარძელში და მის თავის ქალას ადებენ განსაკუთრებულ მანქანას, რომელიც შესდგება ტელეფონის მილისგან. მანქანიდან არ ისმის არც ერთი ხმა, მაგრამ როგორც კი ტელეფონის მილი უახლოვდება თავის ქალას განსაზღვრულ ძვალს, ტვინი ნათლად შეიგრძნობს ხმას.

საბინის ლაბორატორიის ოთახში მოთავსებულია აუდიტორია, სადაც იკრიბებიან სხვადასხვა პრობლემების განსახილველად. ეს არის ნამდვილი მექა მეცნიერებისათვის, სადაც თვითეულს შეუძლია გაუზიაროს სხვას თავისი აღმოჩენები და აზრები.

---

*) აკრი—ინგლისური 899 კვ. საჟენი.

**) აკუსტიკა—მეცნიერება, რომელიც იკვლევს ხმის წარმოშობის, გავრცელების და თვისებათა კანონებს.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს*)

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას.

გიგზავნით 4 804.719.000 გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ, შორაპნის ადგილკომის მიერ შეკრებილ—თანდართული სიით:

წევის დარგის მუშა მოსამსახურეებისაგან 2142 870 მ., მოძრაობის დარგის მოსამსახურეებისაგან 269.300 000 მ, მე 4 უბნის კანტორის და ქიათურის ხაზის აღმშენებლებისაგან 513 250.000 მ, სამასალო საწყობის მუშა-მოსამსახურეებისაგან 300.255.000 მ., მე-4 უბნის მე-2 საოსტატოს მუშებისაგან 374.784.000 მ, სად. შორაპნის მემუხრუჭეებისაგან 643.500.000 მ., სად. შორაპნის რკ. გზ. შეიარაღებულ მცველებისაგან 120.550.000 მ., სად. მარტოთუბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან 237 750 000 მ., სად. შორაპნის ელმწერლებისაგან 202.460000 მ. სულ 4.804.719.000 მანეთი ოთხი მილიარდი რვაას ოთხი მილიონი 719.000 მანეთი.

შორაპნის ადგილკომი

—

გიგზავნით 450 მილიონს მანეთს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ, რომელიც გაიღეს თითომ ათ-ათი მილიონობით შემდეგმა პირებმა: აპოლონ გურგენიძე, ივანე მოსცემლიძე, მარგალიტა ჯანელიძე, აგრაფინა აბუთიძე, ილია კაციტაძე, თამარა ავალიანი, ოლიმპი ენუქიძე, კონდრატი ციმაკურიძე, აკაკი მესხი, მიხეილ ბედინაშვილი, გრიშა ქრისტენუქიძე, სასო ნიფარიძე, ალექსანდრე კვიტაშვილი, გერონტი ბერიშვილი, ლუკა ქელიძე, სამონ გოცირიძე, ალექსანდრე მესხი, დომენტი აბუთიძე, კირილე ხიდურელი, ანთიმო დოლიძე, ნონა ქევანაშვილი, სამუილ გურგენიძე, კოლია კობახიძე, ალექსანდრე კანდელაკი, გრიშა კობახიძე, გენო ქეჩინაძე, სეფე ქემოკლიძე, დავით კუპრაშვილი, ვარლამ დოხნაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, შალიკო გურგენიძე, ვლადიმერ გურგენიძე, მიხეილ ნებულიშვილი, პავლე ქემოკლიძე, სევერიან ენუქიძე, ათანასე ყრუაშვილი, ალექსანდრე ქელიძე, ნიკიფორე მურესიძე, პარმენ სოხაძე, ვლადიმერ იორ. გურგენიძე, კალისტე გურგენიძე, ვალერიან გოცირიძე, დავით მესხი, ნესტორ ყრუაშვილი, არქიპო კაციტაძე. სულ (450.000.000 მ.), ოთხას ორმოცდა ათი მილიონი მანეთი.

რაჭის სამაზრო პარტკომი.

—

გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დამხმარე დუშეთის მაზრის კომიტეტმა მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: მცხეთის რაიონიდან ყულაბებით შეგროვილი 769.200 000 მ., მუხრანის რაიონიდან 100 000,000 მ., დამზღვევ კასის თავმჯდომარე ამხ. ჯარიაშვილისაგან 18.500 000 მ., პროფკავშირის პასუხისმგებელ მდივან ამხ. ბუჩაშვილისაგან 30.000.000 მ., დუშეთის მაზრპარტკომის თანამშრომლების მიერ ოქტომბრის ჯამაგირიდან გაღებული 454 761.200 მ., მაზრპარტკომთან არსებულ პოლიტგანის თანამშრომლებისაგან 36.153.600 მ., ინფორპუნქტის თანამშრომლებისაგან 94.810.000 მ., სამაზრო აღმასკომის თანამშრომლებისაგან 187.056 599 მ., განათლების განყოფილების თანამშრომლებისაგან და მასწავლებლებისაგან 288.830.000 მ., ხაზინის თანამშრომლებისაგან 50.064.000 მ., განათლების მუშაკთა კავშირიდან დამატებით 78 950.000 მ., შემოვიდა დადგმულ წარმოდგენიდან ქალ. დუშეთში 135.000.000.

დუშეთის აღმასკომის საფინანსო განყოფილებისაგან 12 450 000 მან., ანანაურის აღმასკომისაგან 382.575.000 მან., ოქროს საქორწინო ბეჭედი ამხ. პავლიაშვილისაგან 1 ცალი, ვერცხლის ფული ამხ. პავლიაშვილისაგან და ქარელისაგან 4 მ. 85 კ. და ერთი ვერცხლის ოსმალოს ფული. სულ 2 638 350 000 მან. საქორწინო ბეჭედი 1 ც., თათრული ვერცხლის ფული 1 ც. ვერცხლის წვრილი ფული 4 მ. 85 კ. აღნიშნულ ფულიდან შემოტანილი გვაქვს 5 ჩერვონეცი, შეგროვებაზე დაიხარჯა 136.000.000 მანეთი, ნაშთი ფულათ 2 028 350.000 მან. გიგზავნით 10 ჩერვონეცს (100 მან.) ბეჭედს 1 ც., თათრულ ვერცხლის ფულს 1 ც., წვრილ ვერცხლის ფულს 4—85. ამას გარდა შემოვიდა სურსათით: 1) მცხეთის რაიონში შეგროვილი 43 ფ. 35 გ. პური, 2) მუხრანის რაიონში შეგროვილი 55 ფუთი. სულ 99—35. 43 ფ. 5 გ. პური ჩაბარებულია მცხეთის ცეკავშირის საწყობში, დანარჩენი 56 ფ. შეგროვილი მუხრანის რაიონში დაურიგდათ ს. წილკანში ცეცხლისაგან დაზარალებულ ღარიბ გლეხობას დახმარების სახით.

დუშეთის პარტკომთან არსებულ გერმანიის მებრძოლ პროლეტ. დამხმარე კომისიის წევრი **დ. აბაშიძე.**

—

ამასთან ერთად გეგზავნებათ სალხინოს ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორ ოლია გეგელიას მიერ მოგროვილი 55.000 000 მან. ბონით და 16 მანეთი ვერცხლის—ორი თითო მანეთიანი, ორი ათ-ათ შაურიანი და დანარჩენი წვრილი ფული—გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ.

სენაკის სამაზრკომის ქალთა განყოფილება.

—

შემოვიდა 5—14 დეკემბერს:

დუშეთის სამაზრო პარტკომისაგან 10 ჩერვონეცი, 1 საქორწინო ბეჭედი, 1 თათრული ვერცხლის ფული, 9—85 კაპ. ვერცხლის ფული და 1 ქართული ძველი ფული და 776.600.000 მ. ქ. და ა. ჩაჩავები—60 000 000 მან., ბ. კიკნაძე და ციციშვილი—100.000 000 მ., გარე-კახეთის რაიკომი—150.000.000 მ., ა. მგალობლიშვილი—1 საქორწინო ოქროს ბეჭედი, გ. თოფურია—90 000.000 მ., შორაპნის რაიონის მუშა-მოსამსახურეებისაგან 4.804.719 000 მ., ა. სურგულაძე 1 ოქროს საქორწ. ბეჭედი, 1-ლი ოკოლოტკას რწმუნებულისაგან 36.000 000 მან., რაჭის მაზრის პარტკომის აგიტპროპიდან ქვემოაღლის რაიონში შეგროვილი 450 000 000 მ., ვ. გოგნაძე—40 000 000 მ., ი. ფოფხაძე—60 000 000 მან., ნ. საბაშვილი—100 000 000 მ., ვ. კეჭარავა—100 000 000 მ., დ. კუპატაძე—198 000.0000 მ., ქალ. ზუგდიდის მუშაკთა განათლების კავშირისაგან 500.000 000 მ., მარო თოიძე—30 000 000 მ., პ. ვანია—100 000.000 მ, ე. და გ. სარჯველაძეები—1 ჩერვონეცი და 1 რგოლის ოქროს ბეჭედი, სენაკის ქალთა განყოფილებისაგან 16 მ. ვერცხლის ფული და 55 000 000 მ., ქ. შმიდტისაგან 240.000.000 მ., კ. მახარაძე—100.000.000 მ., გ ბადრიაშვილი—50.000 000 მ., ა. მარუტოვი—50 000 000 მ.

სულ: 11 ჩერვონეცი, 4 საქორწინო ოქროს ბეჭედი, 1 თათრული ვერცხლის ფული, 1 ქართული ძველი ფული, 25—85 კაპ. ვერცხლის ფული და 8 090.319 000 მან.

წინეთ შემოსულით: 703 ჩერვონეცი, 14 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 42 ოსმალური ქაღ. ლირა, 3 ოქროს ჯვარი, 72 ოქროს ბეჭედი, 3 ოქროს სამაჯური, 5 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 161 მან. ვერცხლის ფული, 6 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო წონით 1 მისხალი, 2 ოქროს საათი, 31 იტალიური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ქინძისთავი, 2 ოქროს ხუთმანეთიანი, 1 გერმანული ვერცხლის მარკა, 9 ნახ. ინგლ. ვერცხლის შილინგი, 4 ოსმალური ვერცხლის ფული, 1 ტყავის ქამარი 18 ვერცხლის ნაჭერით, 34 ვერცხლის ქილისთავი, 1 ოქროს ათმანეთიანი, 1 მან. საბჭოს ნიშნებით 1923 წ., 8 ძველი ვერცხლის საათი, 1 ვერცხლის ბეჭედი, 1 ვერცხლის ქოტონი, 1 ვერცხლის ძეწკვი, 1 ვერცხლის საყურე, 4 ვერცხლის ქარის კომბლები, 1 ვერცხლის მღვდლის ჯვარი, 2 [illegible] ვერცხლის ფული, 1 თითბრის თვლიანი ბეჭედი, 1 ვერცხლის სამაჯური, 1 ვერცხლის ფანქრის ბუდე, 1 ქართული ძველი ფული და 42 022 185 000 მანეთი.

---

*) ამიერიდან ყველა შემოწირულებანი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ შეტანილ უნდა იქნან უშუალოდ ცენტრალურ კომისიაში.

ქრონიკა

Коллекция
Ил. Федосеева

— **საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია** რკინის გზის მთავარმმართველობამ გადასდო 1800 მან. ჩერ. საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის მიზნით მდ. ტყიბულაზე ჰიდროელექტრონულ სადგურის ასაგებათ.

— **წითელარმიელთა და სამხედრო პირთა წერილების გადაგზავნა.** ა.-კ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გასცა განკარგულება, რომ წითელარმიელთა სახელზე და მათ მიერ გაგზავნილ წერილებზე სალერბო გადასახადი გააუქმონ.

— **დახმარება ინვალიდებს.** სრ. საქართველოს ინვალიდების გამაერთიანებელმა ორგანომ შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ინვალიდების კოოპერატივებს, რომელიც 10 მეტ ინვალიდს აერთიანებს, მიეცეს დახმარება 400 ჩერვონეცის სახით—მოქმედების გასაფართოებლად.

— **ხელახალი აღრიცხვა.** 15 დეკემბერს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—328 უმუშევარი. აღრიცხვაზე დატოვებული იქნა—320 კაცი, ხოლო აღრიცხვიდან სრულებით მოიხსნა—8.

— **ბაასი ჰიგიენასა და პედაგოგიაზე.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის კოლეგიამ ნება დართო—შრომის სკოლებმა სისტემატიურათ მოაწყონ ბაასი მოწაფეთა მშობლებთან ჰიგიენაზე და პედაგოგიაზე.

— **საცდელ-საჩვენებელ სკოლების დათვალიერება.** სოციალურ აღზრდის ინსტრუქტორები ამჟამად აწარმოებენ საცდელ-საჩვენებელ სკოლების დათვალიერებას მეთოდიური ინსტრუქციების მისაცემად აღნიშნულ სკოლებში.

— **რკინისგზის მუშფაკის რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატმა გადაწყვიტა მოახდინოს რკინის გზის მუშათა ფაკულტეტის რეორგანიზაცია და მისი პროგრამების გადათვალიერება.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 17 დეკემბერს შრ. ბირჟაში ახლად ჩაეწერა—31 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—45. მოთხოვნილება იყო 46.

— **ზუგდიდის შრომის ინსპექციის აღდგენა.** ზუგდიდის პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა საქარ. შრ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა აღდგენილი იქნას ზუგდიდის შრომის ინსპექცია.

— **ლტოლვილების გადაყვანა.** ნოემბერში ა.—კ. რკ. გზით გადაყვანილი იქნა 13 ვაგონი ლტოლვილი და 11 ვაგონი სპარსელი სამხედრო ტყვეები.

— **პრ. მუხაძის მოხსენება.** ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების" სხდომა.

მოხსენება პროფ. მუხაძისა: „შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი სადოსტაქრო კლინიკებიდან გერმანიაში მოგზაურობის დროს".

— **ცეკავშირის გამოცემა.** რედაქციამ მიიღო ცეკავშირის გამოცემა: ლენინი—კოოპერაციის შესახებ და კ. კომუნაძე—წერილები კოოპერაციაზე. წიგნაკი საუცხოვო ქაღალდზეა დაბეჭდილი და შეიცავს 46 გვერდს.

— **გადასახადის ვადის გაგრძელება.** ა. კ. სასურსათო და საფინანსო კომისარიატების დადგენილებით მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადა მთელ დასავლეთ საქართველოში გაგრძელებულია 1924 წ. 1-ლ იანვრამდე.

— **სოციალურ დაზღვევის საკითხის გაშუქება.** დამზღ. კასამ დაადგინა საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებას მისცეს ყოველთვიურად 10 ჩერვონეცი სოც. დაზღვევის საკითხის და მნიშვნელობის გასაშუქებლად კავშირის წევრთა შორის.

— **ფულადი გადასახადი სიმინდზე** ა. კ. სასურსათო და საფინანსო კომისარიატების დადგენილებით აღმოსავლეთ საქართველოსთვის და ოზურგეთის მაზრისთვის სიმინდის ფულათ გადასახადი დაწესებულია 6 მილიონი ფუთზე, ხოლო რაჭის მაზრისთვის—5 მილიონი.

— **სახელმწიფო გამომცემლობა** სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიამ წინადადება მისცა ლიტერატურულ დარგების გამგეებს რ. კალაძეს, ი. თალაკვაძეს და ს. აბაშელს წარმოადგინონ მათზე დავალებულ დარგიდან გამომცემლობის გეგმა.

— **სოც. დაზღვევა და ადგილკომები.** დამზღვევი კასა დრო გამოშვებით მოიწვევს ადგილკომების ყრილობებს, სოც. დაზღვევის საქმეში მათი მონაწილეობის გამოსარკვევათ.

— **ტყეები გლეხთა კომიტეტებს.** ტფ. სამაზრო გლეხთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა მარტყოფის საგლეხო კომიტეტს გადაეცეს დასამუშავებლათ 10 დესეტინა ტყე.

— **დახმარების გაცემა.** 20 და 21 დეკემბ. შრომის ბირჟა დახმარებას მისცემს საბჭოთა მუშაკების სექციის დაზღვეულ უმუშევრებს.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 15 დეკემბერს გაქურდულ იქნა მოქ. ალექსი ბაღდანოვის ბინა (ლენინის ქ. № 26). წაღებულია სხვადასხვა ნივთები ღირებული 139 ჩერვონეცის, ეჭვით შეიპყრეს ნავო კამოევი.

— **საპნის ქარხნის გაქურდვა.** 15 დეკემბერს ნაშუადღევს 4 საათზე გაქურდულ იქნა მოქ. ლევან არუთინოვის საპნის ქარხანა, წაღებულია რამდენიმე მილიარდის საპონი.

— **მუშათა კოოპერატივის გაქურდვა.** 15 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ბაზრის ქ. მდებარე მთლიან მუშათა კოოპერატივს № 6 დაესხნენ ორი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, რომლებმაც წაიღეს რამდენიმე მილიარდი ფულათ. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი სტუმარი.** 16 დეკემბერს მოქ. ანასტასი ბოხჩენკოს ბინიდან სტუმრად მისულმა მოქ. ვერა ივანოვამ მოიპარა 6 მილიარდის ნივთები. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

— **მგზავრების გაძარცვა.** 14 დეკემბერს ახალქალაქის საზღვრებთან შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველებმა გაძარცვეს სოფ. დარაგოვის მცხოვრებლები. მიღებულია ზომები ყაჩაღების შესაპყრობად.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

საბალეტო წარმოდგენა.

საკმაოთ მრავალრიცხოვანი ბალეტი, რომელშიაც შედიან ისეთი ნიჭიერი მოცეკვავენი, როგორიც არიან პრიმა-ბალერინა ლეონოვა და ანდრეევა და მამაკაცთაგან ლიტვინენკო, სერგეევი და ბარხუდაროვი, საშუალებას იძლევა დროგამოშვებით დადგმულ იქნეს დამოუკიდებელი საბალეტო წარმოდგენები.

მაგრამ ბალეტი საინტერესოა მაშინ, როდესაც სცენიურ მოქმედებასთან სდევს სიმფონიური მუსიკა, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ ჩაიკოვსკის, გლაზუნოვის და ჩერეპნინის კლასიკურ ბალეტებში; ბალეტი საინტერესოა აგრეთვე მაშინ, როდესაც ის მდიდრულათ არის მოწყობილი, როგორც ამას ადგილი აქვს რუსეთის სახელმწიფო თეატრებში მოსკოვში და პეტერბურგში და დიდ ევროპიულ სცენებზე.

და, ბოლოს, ბალეტი ინტერესს წარმოადგენს მაშინ, როდესაც ცეკვავენ ქორეოგრაფიის პირველხარისხოვანი მსახიობები; თავის თავად კი ბალეტის შინაარსი ყოველთვის ისეთი გულუბრყვილოა, რომ ცალკე აღებული ის, რასაკვირველია, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

სამწუხაროთ, ოპერასთან არსებული ჩვენი საბალეტო დასი ვერც ერთ ზემოთმოყვანილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მეტათ საინტერესოა ცეკვის დადგმა ოპერებში, მაგრამ ცალკე დამოუკიდებელ დადგმის დროს ბალეტი ვერ ახდენს სათანადო შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს კლასიკურ ბალეტის დადგმის დროს.

რითია საინტერესო ბალეტ „კოპპელია"-ს ეხლანდელი დადგმა და ამართლებს თუ არა ის მასზე გაწეულ ხარჯებს?

ბალეტის ეხლანდელი დადგმა ვერ არის იმაზე უფრო ლამაზი და მოხდენილი, ვიდრე ძველი დადგმა იყო. სცენაზე ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც დამთავრებული ცეკვა, ვერც მხატვრული პლასტიკა და ვერც საინტერესო მიზანსცენები. ალბათ, ბალეტი „კოპელია" დადგმული იყო ნაჩქარევად. ორკესტრი ვერ იყო შეწყობილი ბალეტმეისტერთან, არ იყო მთლიანობა და ამიტომ არ იყო არც მხატვრული შესრულება.

მოცეკვავე ქალთაგან საინტერესო იყვნენ ანდრეევა, ლეონოვა და ჩებუკიანი, მამაკაცთაგან კი ლიტვინენკო (წარმატებით მიდის წინ კლასიკურ ცეკვაში), სერგეევი და ბარხუდაროვი (კომიკური როლები); დანარჩენების შესახებ ჯერჯერობით სჯობია გავჩუმდეთ—მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ და დაწინაურდენ პლასტიკაში, მიმიკაში და აკომპანიმენტისა და ცეკვის მუსიკალურ შეერთებაში.

ბალეტმეისტერს სწორეთ ამისათვის უნდა მიექცია ყურადღება.

ამ საღამოსვე რეჟისორ რაპპოპორტის მიერ დადგმული იყო „ლისტის პრელიუდიები"—ლამარტინის ტექსტზე აგებული სიმფონიური პოემა.

პ. ზეზუთოვი.

—

— **პროლეტარულ მწერალთა საორგანიზაციო საკითხების შესახებ.** დღეს, 19 დეკემბერს საღამოს სრულ 5 საათზე ს. კ. პ. ც. კ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე დანიშნულია თათბირი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა საორგანიზაციო საკითხების შესახებ. ც. კ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ყველა ქვემო დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დანიშნულ დროს. 1. სილვა თოდრია, 2. რაჟდენ კალაძე, 3. სერგ. თალაკვაძე, 4. სანდრო ეული, 5. ნიკო კიკნაძე (რედაქტორი), 6. ისიდ. თალაკვაძე, 7. ნ. ზომლეთელი, 8. იონა ვაკელი, 9. გ. ყურულაშვილი, 10. კიტა მეგრელიძე, 11. სიმონ ჩიხლაძე, 12. შურა დუდუჩავა, 13. ბესო ლომინაძე, 14. არჩილ მიქაძე, 15. პ. საყვარელიძე (რედაქტორი), 16. პ. ბუჩაიძე (Petrosa), 17. ლ. ქართველიშვილი, 18. მიხა კახიანი, 19. პეტრე სამსონიძე, 20. პ. ქიქოძე, 21. კ. ორაგველიძე, 22. დ. კანდელაკი (სახ. გან. კომისარი), 23. დ. ხიხაძე, 24. იაკინთე ლისაშვილი და 25. ალ. მაშაშვილი.

— **„ჩირალდანი".** 20 დეკემბერს, ხუთშაბათს გამოვა გაზ. „კომუნისტის" სამხატვრო-სალიტერატურო ორკვირეული დამატება „ჩირალდანი"-ს მეორე ნომერი.

— **მუშათა კლუბი.** დღეს გაიხსნება მუშათა ცენტრალურ კლუბის სეზონი. წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე „ნატალკა პალტავკა".

დღეს თეატრებში

— **სახელმწიფო ოპერა**—ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი". დადგმა კ. მარჯანიშვილის.

— **რუსთაველის თეატრი**—სომხური წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი**—რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

სენაკის მაზრის საბჭოთა მეორე ყრილობა

საზეიმო სხდომა

1 დეკემბერს ღამის ცხრა საათზე საბჭოთა თეატრში გაიხსნა სამაზრო მუშათა და გლეხთა საბჭოების მეორე ყრილობა. ყრილობას დაესწრო 143 დელეგატი. თეატრი გაჭედილი იყო მუშა-მოსამსახურეებით და მოქალაქეებით; აუარებელი მსურველები დარჩნენ თეატრის გარეთ, რადგანაც შენობამ ყველა ვერ დაიტია. ყრილობას დაესწრნენ საგანგებოდ ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგები: მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი და საშა გეგეჭკორი. ყრილობა გახსნა სამაზრო აღმასკომის თავ-რემ ამხ. სამსონ მამულიამ, რომელმაც აღნიშნა მისი მნიშვნელობა; ის შეეხო აგრეთვე მდინარე აბაშაზე ჰიდროელექტრონულ სადგურის გაშენების დაწყებისათვის საძირკვლის ჩაყრას, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მესვეურების—ამხ ცხაკაიას, ორჯონიკიძეს, ორახელაშვილის, ლომინაძის და გეგეჭკორის ამ საქმისადმი თანაგრძნობას, შემდეგ უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა. დელეგატები ოვაციით ხვდებიან სტუმ-

მუშათა ცხოვრება

ძღვნად მუშა-მგოსანს, გიგო ხეჩუაშვილს

(მისი იუბილეს გამო)

მოდით, ძმებო, ჩვენს მეგობარს,
ქარხანაში გამოზდილსა
მივულოცოთ და უმღეროთ
ჭირში, ლხინში გამოცდილსა!

დეე, ყველამ გაიგონოს,
რომ დაგვეჩაგრა წარსულ დრომა,
წითელ დროშამ გაგვახარა,
დააფასა მუშის შრომა!

მტერს უჩვენოთ მაგალითი,
რომ ჩვენცა გვაქვს გული, რწმენა,
გვიყვარს მოძმის დახმარება,
სიხარული, აღმაფრენა!

გაუმარჯოს მუშა-მგოსანს!
გაუმარჯოს იმის კალამს!
მშრომელ ხალხის დიდ მეგობარს,
მეც მშრომელი ვუძღვნი სალამს!

მშრომელი ივ. უხტიაშვილი.

კიდევ ერთი მუშათა კლუბი.

ამა წლის 21 ოქტომბერს პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგად. შენობაში ვერაზე, შესდგა ვერის უბნის მუშების და ადგილობრივ ღარიბეს მცხოვრებთა საერთო კრება მუშათა კლუბის დაარსების შესახებ. კრებამ ერთ ხმად აუცილებლივ საჭიროდ სცნო დაარსებული ყოფილიყო ვერაზე მუშათა კლუბი და სამკითხველო. ყრილობამ აირჩია საამშენებლო კომიტეტი და სარევიზიო კომისია. კომიტეტი კარგახანია შეუდგა თავის მუშაობას. ტფილისის აღმასკომის მიერ გადაცემულია კლუბისათვის შენობა წყნეთის და კოჩის ქ. შესახვევში. ამ სიმპატიურ საქმისათვის ჩემის მხრივ ვერის მუშათა კლუბის საამშენებლო კომიტეტს ვსწირავ ერთ ოსმალურ ლირას კლუბის აგების სასარგებლოდ და ვიწვევ ამ დიად და კეთილ საქმისათვის შემდეგ ძველ ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორს, ვასო არეშიძეს, გოლა კერვალიძეს, კოტე ცინცაძეს, გიორგი ყურულაშვილს ცაცუკა ხომასურიძეს, სოლომონ არეშიძეს, გიორგი უსეინაშვილს, ლექსო მეტრეველს (აზმიფერაშვ.) ირაკლი თაზიშვილს, გიორგი მაისაშვილს, იოსებ ლაფაჩის, დავ. კილაძეს და ადგილობრივ სცენის მოყვარეებს:— გიორგი ოგანოვს, პლატონ ინაძეს, ვანო მინდიაშვილს, საშა თვარაძეს, ლიდო ფანიაშვილს და ვ. ხოვ ამხანაგებს თავის მხრივ გამოიწვიონ ამ მიზნისათვის ნაცნობ-მეგობრები: შინაგ. საქმ. სახალ. კომისარ. ირაკლი თაზიშვილთან, მუშათა სასახ. გიორგი ყურულაშვილთან, ცენტრალ. სავაჭრო სამართველ. ვასო არეშიძესთან და ჩემთან ცაცუკა ხომასურიძეს სახელოსნოში წყნეთის ქ. № 16.

პრეზიდიუმის წევრი მუშა-მსახიობი

გიგო თორდანიშვილი.

ადგილკომი არ მუშაობს.

რასაკვირველია ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, რომ მუშა-მოსამსახურეების ინტერესს უნდა იცავდეს ადგილკომი. ჩვენ ვხედავთ, რომ არჩევნების დროს საბჭოთა ორგანოების ყველა მუშა-მოსამსახურეები აღნიშნავდნენ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობის ნაყოფიერებას. რასაკვირველია, ამ მუშაობას ხელს უწყობენ შიგნით თვით თანამშრომლებისა და უფრო კი კომუნალურ განყოფილების მუშა მოსამსახურენი, რომელნიც დაწყებული დარაჯიდან მტკიცედ სდგანან მეურნეობის აღორძინების სადარაჯოზე. მაგრამ უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ადგილკომი კომუნალურ განყოფილებისა ძალიან სუსტად მუშაობს. მიზეზი ამის არის თვით ადგილკომის წევრებში, რომელნიც პროფესიონალურ მუშაობაში არ არიან გამოცდილნი. არ ყოფილა ისეთი კრება, რომელსაც ადგილკომის მუშაობა დააკმაყოფილებლად ეცნოს. ადგილკომი არ მისდევს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. უკვე ორი კვირა გავიდა, რაც გაზეთის ფული დაგვიკავეს, გაზეთი კი არ მოგვდის. ბიბლიოთეკების შესაძენად ფული რამოდენიმე მილიონი შემოვიდა, წიგნები კი არ სჩანან. როდესაც 7 სატარიფო ხარისხამდე სხვა საბჭოთა თანამშრომლებმა 12 მანეთი მიიღეს შეშის ფულად, ჩვენი ადგილკომის ხელმძღვანელობით მხოლოდ 5 მანეთი დარიგდა ამ დროს ჩვენთან. 5 ნოემბერს იყო გაფართოებული სხდომა „ტეკოს" (შეერთებული) სამნეო პროფკავშირის და ორგანოებთან ერთად, სადაც გადაწყდა 10 ხარისხამდე ყველა მუშა მოსამსახურეებისთვის ავანსად მიცემა—ოჯახიანზე—12 მანეთისა, უოჯახოზე კი 6 მანეთისა ჩერვონეცით. ეს დადგენილება უნდა შესრულებულიყო 20 ნოემბრამდე, მაგრამ ის დღესაც შეუსრულებელი არის. რაშია საქმე? ამას გარდა თვით ადგილკომში საქმის წარმოება არ მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რაც სრულიად სამართლიანად მოითხოვენ ჩვენი მუშა-მოსამსახურეები.

მუშკორი მეფუხრუშვილი.

„სულის მამები" ამოძრავდნენ

თუმცა ეკლესიები ზედმეტ ბარგად ითვლება ყოველი განვითარებული ადამიანისათვის, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამ მხრივ ანგარიშს უწევს იმ მორწმუნეთ, რომლებიც ჯერჯერობით სრულიად ვერ განთავისუფლებულან ეკლესიის გავლენისაგან. ამიტომ მთავრობის განკარგულებით არ დაიკეტება ის ეკლესიები, რომლებსაც ეყოლებათ 300 „ოჯახი"—მრევლი სწორედ იმ მიზნისათვის, რომ როგორმე შეავსონ ეს რიცხვი და მსუქანი შემოსავლიანი ადგილი დიდხანს შეინარჩუნონ. „სულის მამებმა" აამოძრავეს და მობილიზაცია უყვეს თავიანთ დიაკვნებს, რომელნიც დაულალავად თავიანთ საკბილოებს, მართალია, ნათქვამია: „ჭიან ტყემალს ჭიანი მუშტარი არ დააკლდება"-ო. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი პროფკავშირის წევრებიც ეგებიან მათ მიერ გადმოსროლილ ანკესზე და ხელს უწერენ დიაკვნებს. საჭიროა მუშებმა, როგორც თავიანთ ოჯახებში დიასახლისებთან, აგრეთვე მთელ ეზოს მცხოვრებლებსაც აუხსნან, რომ ამ მატყუარა „სულის მამებს" გასაქანი არ მისცენ არსად და რაც შეიძლება, ეს დრომოჭმული დაწესებულებები, როგორიც არის ეკლესიები, თუ ჯერჯერობით სავსებით არ მოისპობიან საგრძნობლად მაინც შემცირდეს. იმ მოქალაქეებს კი, რომლებიც ხელს უწერენ მათ, უნდა უთხრათ შემდეგი: „თქვენი ხელისმოწერით თქვენ თანხმობას აცხადებთ იმაში, რომ შეინახოთ და აცხოვროთ როგორც მღვდლები, ისე მათი ოჯახის წევრებიც. თქვენ უნდა ასვათ, აჭამოთ, შემოსოთ ისინი, თქვენ უნდა გადაიქცეთ და გადაქცეული ხართ კიდეც. მათი შემოსავლის წყაროდ". ამისათვის მოგიწოდებთ ერთხელ და სამუდამოთ ჩამოიშორეთ მათ და ისინიც იძულებული იქნებიან დაუბრუნდნენ პატიოსან შრომას.

მუშკორი ივ—ძე.

მუშათა თეატრი წარმატებით მუშაობს.

რამოდენიმე ხნის წინეთ პლეხანოვის თეატრი სრულიად მოკლებული იყო წესრიგს. მაგრამ მას შემდეგ რაც ამ თეატრს ნამდვილი მუშაკი ჩაუდგა სათავეში ყველაფერი გამოსწორდა და დღეს ყველა ამ რაიონის მუშა ამაყობს თავის თეატრით—ამაყობს იმით, რომ დღეს მათმა თეატრმა ყველა მუშათა თეატრებს გაასწრო და ჩქარა დიდ თეატრსაც ამოუდგება გვერდში—გაუსწორდება იმ დიდ თეატრებს, რომლის შესახებაც ჩვენ მუშებს ოცნებობაც არ შეგვეძლო. და აი სწორედ ამიტომ ვაფასებთ თეატრის გამგეს ამხ. დანდუროვის მუშაობას. ვუსურვებთ მას შემდეგშიაც ენერგიულ მუშაობას.

მუშკორი: „ჭუკ"

მუშათა ქრონიკა.

— **გასართობები მუშებისთვის.** ამ დღეებში დასრულდება და გაიხსნება პლეხანოვის თეატრის მარცხენა გვერდით სამი ოთახი, სადაც მუშებისთვის გაიმართება სხვადასხვა გასართობები.

— **ფიზიკური კულტურის წრე.** პლეხანოვის თეატრთან არსებობს „ფიზკულტურის" წრე, სადაც უკვე დაიწყო მსურველი მუშების ჩაწერა.

— **წარმოდგენა მუშებისთვის.** 14 დეკემბერს პლეხანოვის თეატრში დადგმული იყო მეორე რკინის გზის ბატალიონის დასის მიერ კოტეჯნიკოვის ხელმძღვანელობით „ჰამლეტი". მიუხედავათ იმისა, რომ წარმოდგენა იყო რუსულ ენაზე იმდენად იყვნენ ჩვენი მუშები დაინტერესებული ამ პიესით, რომ წარმოდგენას დაესწრენ დიდი რაოდენობით ქართველი მუშებიც.

ყებს, ხორო და მუსიკა მღერის ინტერნაციონალს.

ამხ. ცხაკაია ესალმება ყრილობას საქართველოს ცაკის სახელით, შემდეგ გადადის იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც მან მიიღო მდ. აბაშის ჩანჩქერებზე მუშაობის საძირკვლის ჩაყრის დროს; მან ხაზი გაუსვა იმ აღფრთოვანებას, რომელსაც იჩენენ მშრომელები აღმშენებლობითი მუშაობაში. შემდეგ ამხანაგი აშუქებს ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მნიშვნელობას; საქართველოს საბჭოთა მთავრობა ყოველივე სახსარს გაიღებს, რათა დაეხმაროს დიად საქმეს, მაგრამ მარტო მთავრობის დახმარება არ კმარა, საჭიროა მშრომელებმაც გაიღონ თავისი შრომა და ენერგია. დელეგატები ოვაციით ხვდებიან.

ამხ. მამია ორახელაშვილი ესალმება ყრილობას ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობების სახელით, რის შემდეგ აღნიშნავს იმ [illegible] მუშაობას, რომელიც უწარმოებია სამაზრო აღმასკომს. მენშევიკებმა თავის არსებობის დროს ომის ალში გახვიეს საქართველოს მშრომელი მასსა; ომი ოსებთან, ომი სომხებთან და თათრებთან, აფხაზებთან მოწმობენ, რომ მენშევიკებმა სისხლში ჩაახრჩეს გლეხობა. ჩვენი არსებობის ხანა ხასიათდება მშვიდობიანობით მეზობელ ერთა შორის და აღმშენებლობით; გზების გაყვანა, ხიდების გაკეთება, სკოლების გახსნა, ელექტროფიკაცია და სხვა,—აი საბჭოთა აღმშენებლობის ამოცანები. მდინარ აბაშის ჩანჩქერებზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მუშაობის დაწყება არის ერთ ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ჰქონია უნარი ქვეყნის აღორძინებისა. ამიერკავკასიის სახელმწიფო სალარო ღია იქნება ამიერიდან იმ დიადი საქმისათვის, რომელსაც დღეს საძირკველი ჩაეყარა აბაშის ჩანჩქერებზე. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. შემდეგ ყრილობას მიესალმენ სამაზრო პარტკომის სახელით ამხ. მაკარი ბედია, პროფბიუროს სახელით ამხ. ს. თურქია, კომკავშირიდან ამხ. ა. კოკაია.

ღამის 11 საათზე საზეიმო სხდომა დახურულად იქნა გამოცხადებული და ყრილობის საპატივცემოდ წარმოდგენილ იქნა პიესა „ციცინათელა".

ე. შალ-ძე.

ერკეთის სახალხო სახლის გარშემო

გაზ. „კომუნისტის" № 281-ში მოთავსებულია სოფ. ერკეთიდან სევ. მინდაძის კორესპონდენცია, რომელიც ეხება ერკეთის სახალხო სახლს და შეიცავს თავიდან ბოლომდი სიყალბეს.

საქმე შემდეგშია: ამ სოფლის ქვემო ნაწილში არსებობს ერთი მომხიბლავი ადგილი, რომელსაც ეწერი ეწოდება. ეხლაც სწარმოებს გაცხოველებული კამპანია გამოწვევის სახით ამ ადგილზე სახალხო სახლის ასაგებ ფონდის შესაქმნელად. ეწერში სახალხო სახლის აგების იდეა დაიბადა ამ 5—6 წლის წინად, ე. ი. იმ დროს, როდესაც ერკეთის სახ. სახლზე არავინ ფიქრობდა, ამიტომ ტყუილ სიცრუეს ამბობს ს. მინდაძე: „ჯერ კიდევ მენშევიკების დროიდან, ერკეთის თემის საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა აეგო ამავე თემის ცენტრში სახალხო სახლიო".

ერკეთში სახ. სახ. აგების სურვილმა იჩინა თავი მას შემდეგ, რაც გასულ წელს ეწრის სახ. სახლის საამშენებლო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რკინის გზების ყოფილი „არტელის" თავმჯდომარის ნიკოლოზ კობიძის წინაშე დახმარებისათვის და რაც ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა 40 მილიონი მანეთის გადადებით. ერკეთლები გამოგვიდგნენ ამ ფულის მიღებაში. არ გვინდოდა რა საქმის გართულება, ჩვენ თავიდან ლოიალურ გზას დავადექით და გადადებული თანხის ნახევარი მივეცით მათ. აქედან იწყება მათი „სახ სახლის" ისტორიაც.

იმავე გასულ წელს,—როგორც თვით მინდაძეც სწერს—ქ. ტფილისის სადგურის მუშებმა, ნ. კობიძის ხელმძღვანელობით და თავმჯდომარეობით, დაარსეს კომისია, რომელმაც აიყვანა სამეფოთ: ზემო-ერკეთი, ქვემო-ერკეთი, ბუკისციხე და ხევი.

ქვემოდ მინდაძე სწერს: კომისიას თავისი აქტიური მუშაობით შეუკრებია 27 ჩერვონეცი, რომლის განაწილება არ მოსწონს მინდაძეს და უსაყვედურებს ნ. კობიძეს ფულის „უკანონო განაწილებას"; განსაკუთრებით მას აბრაზებს ამ თანხის ნაწილის ეწრისთვის გადადება. ჩვენ კი გვგონია, ნ. კობიძე მადლობის ღირსია ამ მუშაობისათვის და არა საყვედურის.

ცოტა ქვევით მინდაძე ამბობს. „ეწერში არავითარი სახალხო სახლის აგების სამზადისი და ნიშნები არ ყოფილა და არც არისო". საკვირველია, რისთვის სჩადის ასეთ სიყალბეს მინდაძე. გარდა იმ სამზადისისა, რაც უკვე მოვიხსენიეთ, ბევრი სხვა ზომებიც იყო მიღებული.

შემდეგ მინდაძე სწერს: „ქვედა-ერკეთი (ეწერი) დაშორებულია ერკეთის ცენტრიდან ერთი ვერსით და ერთი ვერსის მანძილზე ყოველ ხის ძირას სახ. სახ. არსებობა, მით უმეტეს სოფლათ, დაუშვებელია"-ო. მინდაძეს უნდა მოვახსენო, რომ ასეთი „ხის ძირი", როგორიც ეწერია, ცოტა მოიძებნება, არამც თუ ერკეთის თემში, არამედ მთელ გურიაშიაც-კი. ეს ისეთი „ხის ძირია", რომელიც არამც თუ მეზობელ თემიდან, არამედ შორეულ თემებიდანაც იზიდავდა და იზიდავს საზოგადოებას და ამ საზოგადოებას ხომ უფლება აქვს ისარგებლოს ეწრის სახ. სახლით.

რაც შეეხება იმას, თითქოს ნიკ. კობიძეს არ ჰქონდეს უფლება, „გამოვიდეს მოწოდებით ერკეთის თემის შვილთა მიმართ", ამის შესახებაც მოვახსენებთ სევ. მინდაძეს: გაუგებარია რატომ არა ჰქონდა მას უფლება მოწოდებით მიემართა ნებაყოფლობით შეწირულების გაღებაზე; შემდეგ ნ. კობიძემ მიმართა მხოლოდ ეწრის სახ სახლის დაინტერესებულ პირებს და არა „ერკეთის თემის შვილთ" საერთოდ.

მტკნარი სიცრუეა აგრეთვე, თითქოს ჩვენ ერკეთის სახ. სახ. საქმეს ვაფერხებთ, ან ოდესმე ხელი შეგვეშალოს, პირიქით, ერკეთის სახ. სახლის იდეა პირმშო შვილია ეწრის სახ. სახლის იდეის და ჩვენ, ეწრელები ისეთივე მონაწილეობას ვიღებთ ზემო-ერკეთის სახ. სახ. აგებაში, როგორც თქვენ—ზ. ერკეთელები; ამას თქვენ ვერ უარყოფთ.

დასასრულ, თქვენ აცხადებთ: „ერკეთის მშრომელებს პირველ რიგში ამოცანად დაუსახავთ სახ. სახ. აგება ერკეთში და მეორე რიგში კი ქვედა-ერკეთში (ეწერში) ფართო მოედანზე, რომელიც უკვე რკინის მავთულით შემოფარგლულია" და სხვა.

ნება გვიბოძეთ ამ თქვენს განცხადებაში ეჭვი შევიტანოთ. დასასრულ, როგორ მოხდა, რომ ეწერი რკინის მავთულით შემოიფარგლა, როდესაც, თქვენივე სიტყვით, ამაზე არავითარი სამზადისი არ ყოფილა.

ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ. ეს საქმე მარტო ეწრის სახ. სახ. საამშენებლო კომისიის მარა არ არის მიტოვებული, მასზე ზრუნავენ ამხანაგები: გოგიტო ციმბირელი, ს. მეგრელიშვილი, ნ. კობიძე და სხვები. თქვენი გამოსვლა ვერ შეაფერხებს ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს და სულ ახლო ხანში ვიხილავთ ეწრის დიდ მოედანზე სახალხო სახლს.

ეწრის სახალხო სახლის საამშენებლო კომისიის წევრი და რწმუნებული ტფილისში **ლადო კობიძე.**

რა აწუხებს მოქ. იაკობ ზედგინიძეს?

მოქ. ი. ზედგინიძის ბიბლიოგრაფიის გამო „ჩვენი სკოლის" პირველი ნაწ. შესახებ („გაზ. „ივერია" № 2) ბევრი რამ გვქონდა სათქმელი, მაგრამ თავი შევიკავეთ და საპასუხო წერილი ვიწრო ფარგლებში მოვაქციეთ. კრიტიკის არსებით მხარეს ჩვენ განზრახ ავუარეთ გვერდი, ვინაიდან, მოგეხსენებათ, თავისი ნაშრომის ქება დაფასება არაა მიღებული, ამას სხვები უკეთ შეასრულებენ. კრიტიკოსის მიერ გადამახინჯებულ ადგილებს და ცილისწამებას ჩვენ მხოლოდ გამამართლებელი ფაქტები დავუპირდაპირეთ, ავალაპარაკეთ და ამით დავკმაყოფილდით.

მოქ. ზედგინიძეს ეს გარემოება, როგორც სჩანს, ჩვენი პოზიციის სისუსტედ მიუჩნევია, საჩქაროდ მეორე წერილი გამოუცხვია, გამარჯვებულის პოზა მიუღია და გაბედული იერიში მოაქვს („ქართული სიტყვა" № 3).

უნებლიედ გაგვახსენდა შოთას სიტყვები: ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობასო და გადავწყვიტეთ ბარემ ვთქვათ, რაც სათქმელია.

მოქ ზედგინიძე გვიუბნება: „არც ერთი ნაკლი, ჩემ მიერ რეცენზიაში აღნიშნული, თქვენ ვერ დაარღვიეთ"-ო. ჩვენს საპასუხო წერილში შავით თეთრზეა დაბეჭდილი შემდეგი: „ჩვენ, ავტორები, არ შეუდგებით ამ „კრიტიკის" კრიტიკას არსებითად, ამას პედაგოგთა ფართე წრეები და თვით ცხოვრება გაარჩევს, დააფასებს და შესაფერ მსჯავრს დადებს" („ქართული სიტყვა" № 2).

ასეთი განცხადების შემდეგ ჰქონდა თუ არა მოქ. ზედგინიძეს იმისი თქმის უფლება, რომ ჩვენ მისი დებულებები ვერ დავარღვიეთ?

მოქ. ზედგინიძეს გულზე დასობია ჩვენ მიერ ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა, რომ „დაბეჭდვამდე ეს წიგნი სამეცნიერო საბჭომ გაარჩია და მოიწონა კიდეც"-ო. ასეთი შენიშვნის გაკეთება თურმე არასაკადრისი და სათაკილო საქმე ყოფილა! აქედან თურმე ის დასკვნაც გამოდის, რომ „არც პედაგოგთა ფართე წრეებს შეეძლებათ თავიანთი აზრის გამოთქმა, რადგან „უზენაეს ორგანოს" უკვე გადაუწყვეტია ეს საკითხი"-ო.

ჩვენს „კრიტიკოსს" უნდა სცოდნოდა, რომ დაუბეჭდავ წიგნს, ხელნაწერ რვეულს, ვერ გაარჩევდა პედაგოგთა ფართე წრეები, ხოლო საამისოდ დაარსებული სპეციალური ორგანო კი ვალდებული იყო და შეეძლებაც ჰქონდა გაერჩია და დაეფასებია ხელნაწერად წარდგენილი რვეული. დაბეჭდვის შემდეგ კი ყველას ეძლევა შეძლება წაიკითხოს და დააფასოს.

ძლიერ უკუღმართად უნდა აზროვნობდეს ადამიანი, რომ მოხსენებული შენიშვნიდან ასეთი უცნაური დასკვნა გააკეთოს: „მაშ, არც პედაგოგთა წრეებს, რომლის იმედი გაქვთ, შეეძლებათ თავიანთი აზრის გამოთქმა"-ო. თუ კი იმედი გვაქვს, რომ პედაგოგთა წრეები შესაფერად დააფასებენ ჩვენს ნაშრომს, განა ჩვენვე ვეცდებით, ან შეგვიძლია რომ მათ ამისი საშუალება მოვუსპოთ?!

ამნაირად, სამეცნიერო საბჭო მოქ. ზედგინიძეს საფრთხობელად დაუსახავს.

შეიძლება მოქ. ზედგინიძე გრძნობს, რომ ჩვენ უფრო ვაფასებთ სამეცნიერო საბჭოს რეცენზენტების და მთელი პლენუმის აზრს, ვინემ მის, ზედგინიძის, კრიტიკულ აბდაუბდას? მერე ეს რა საწყენია? ვინ არ იცის, რომ „ჩვენი სკოლის" 1 ნაწ. ოფიციალური რეცენზენტები პროფ. დ. უზნაძე და მოქ. ს. გორგაძე ზედგინიძეზე მაღლა დგანან როგორც ცოდნით, ისე ობიექტივობითაც.

როცა მოქ. ზედგინიძე ამტკიცებს თავის ბიბლიოგრაფიაში, თითქოს ჩვენ „დედა-ენა" გაგვეცარცვოს, მისი მემკვიდრისათვის, წ. კ. გამავრც. საზოგადოებისათვის, ვნება მიგვეყენებიოს და სხვა, ამით ის, ცხადია, ჩრდილს აყენებს დასახელებულ რეცენზენტებსაც. გამოდის, რომ რეცენზენტებს არ შეუდარებიათ „ჩვენი სკოლა" არსებულ მსგავს სახელმძღვანელოთათვის, კერძოდ „დედა-ენისათვის", და ისე ზერელედ დაუდვიათ მსჯავრი. ასეთი არაპირდაპირი, შეპარებული ცილისწამების გასაბათილებლად ჩვენ ვალდებულად ვრაცხთ თავს გამოვაქვეყნოთ ერთ-ერთი რეცენზიიდან შემდეგი სტრიქონები: „თუ ავტორები (ან გამომცემლები) მართლაც შესძლებენ, როგორც განზრახული ჰქონიათ (განმარტ. ბარათი 13), თავისი სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილი ორი სამი ფერადით დაბეჭდონ,—მაშინ ამ წიგნს არსებულ სახელმძღვანელოთა შორის ბადალი არ ეყოლება, მაგრამ ესეც რომ ვერ მოხერხდეს, წიგნი ისეთი თვალსაჩინო ღირსებების მატარებელია, რომ უნდა ეთხოვოს ავტორებს დააჩქარონ მისი დაბეჭდვა. ეს იქნება ფრიად სასარგებლო მონაპოვარი ჩვენი ახალი სკოლისათვის".

ჩვენ აქ, უადგილობის გამო არ გამოვუდგებით მოქ. ზედგინიძის ყველა ტყუილების განქიქებას და შევეხებით მხოლოდ ზოგიერთებს

ზედგინიძე თავის მეორე წერილში ამბობს: ყოვლივე სიმართლეს მოკლებულია, მეტი რომ არა ვსთქვათ, რწმუნება ავტორებისა, ვითომც მე „არა ერთხელ მქონოდეს ლაპარაკი შემსწორებელ („დედა ენის") კომისიის თავმჯდომარესთან ცალხაზიან რვეულზე წერის შესახებო. არავითარ ასეთ მოვლენას არას დროს ადგილი არ ჰქონია"-ო, გადაჭრით ამტკიცებს ის.

ასეთი ფაქტის არსებობა თუმცა ხელსაყრელი არაა მოქ. ზედგინიძისათვის, მაგრამ საჯაროდ მომხდარი ფაქტის უბრალო ფიცი-მტკიცით უარყოფა ხომ არ შეიძლება. ამ შემთხვევას ჰქონდა ადგილი არა კერძო საუბრის დროს, არამედ განათლების მუშაკთა მრავალრიცხოვან კრებაზე ეს იყო მაშინ, როცა მოქ ზედგინიძემ მოხსენება წაიკითხა ხსენებულ კრებაზე თავისი „ახალი" მეთოდის შესახებ. ამ მოხსენების გამო გამართულ კამათში, სხვებთან ერთად, თ. კიკვაძემაც მიიღო მონაწილეობა და ილაპარაკა ანბანის შესწავლის დროს უხაზო რვეულში გადაბმული ხელით წერის შემოღების წინააღმდეგ, რასაც ზედგინიძე იცავდა.

მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში ამის შესახებ კიკვაძეს შეკითხვა მისცა: როგორ მოხდა, რომ თქვენ კომისიის მიერ შესწორებულ „დედა ენაში" მომხრე იყავით უხაზო რვეულში წერისა და აქ კი წინააღმდეგი ხართ? შეუძლებელია ეს დავიწყებოდეს მოქ. ზედგინიძეს.

აქედან აშკარაა, მოქ ზედგინიძეს კარგად სცოდნია, რომ თ. კიკვაძე „დედა-ენის" შემსწორებელი კომისიის წევრი იყო.

„როგორ მოხდა, რომ კომისიამ თითონვე დაიწუნა დაბეჭდვისთანავე თავისი შესწორებული „დედა-ენაო"? გაოცებით კითხულობს მოქ. ზედგინიძე.

როგორ მოხდა ვკითხულობთ ჩვენ რომ ჩვენს საპასუხო წერილში ამ კითხვის ამომწურავი ადგილი მოქ. ზედგინიძემ არ გაიგო?! იქ განა კიდევ დარჩა რამე გაუგებარი და საჩოთირო? დაინტერესებული პირისათვის შეიძლება—ჰო, მაგრამ სხვებისათვის, ვფიქრობთ, არა, არ დარჩენილა.

თავის ბიბლიოგრაფიაში მოქ. ზედგინიძე ბრალს გვდებდა, რომ ვითომ ჩვენ „დედა-ენიდგან" სხვისი მასალა ამოგვეღოს, მიგვეთვისებიოს და „ჩვენს სკოლაში" მოგვეთავსებიოს. ყველასთვის ცხადია, რომ ეს მძიმე ბრალდებაა, რომელსაც ეწოდება ლიტერატურული ქურდობა პლაგიატორობა.

როცა ჩვენმა პასუხმა ამ ცილისწამების შესახებ ერთხელ და სამუდამოდ ენა მუცელში ჩაუგდო მოქ. ზედგინიძეს, ახლა ის გამომდგარა და ირწმუნება: „საკითხის ეს მხარე სრულიად არ შეადგენდა და არ შეადგენს ჩემი რეცენზიის საგანს"-ო.

მოქ. ზედგინიძე რომ მართლა ახირებული კაცი ყოფილა, ეს ჩვენთვის ახლა ცხადი შეიქნა. „ნუ თუ საჭირო არ იყო, ან არ შეიძლოთ ეთქვათ ქართველი მასწავლებლისთვის ახალი სიტყვა ამ საკითხშიო" გვისაყვედურებს ის.

აი, ახლა მიუახლოვდით ჩვენ მოქ. ზედგინიძის მტკივან ადგილს.

მასწავლებლისათვის ახალი სიტყვის თქმა ასე ხელწამოსაკრავი საქმე რომ იყოს, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! სასწავლო მეთოდის შეცვლა, ახალი ეპოქის შექმნა და ახალი სიტყვის თქმა, ეს იშვიათ რჩეულთა ხვედრია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთი პრეტენზიები არ გვაქვს „ჩვენი სკოლის" ავტორებს ასეთი დიდი მიზანი არ დაუსახავთ. ისინი იმითაც კმაყოფილი იქნებიან, თუ მათი ნაშრომი არსებულ მეთოდში მცირეოდენ გაუმჯობესებას შეიტანს, თუ მათი ანბანი არსებულ მსგავს სახელმძღვანელოთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერს.

ქართველი მასწავლებელისათვის ახალი სიტყვის თქმა, როგორც ვიცით, მოქ. ზედგინიძემ იკისრა. ცხადია, ის თავის თავს ამისათვის შესაფერად სთვლიდა. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ქართველმა მასწავლებელმა ვერ შეიგნო ეს სიკეთე, ვერ დააფასა მისი კეთილისმყოფელი. ოთხი წელიწადია, რაც მოქ. ზედგინიძემ თავისი „ახალი ანბანი" გამოსცა, მაგრამ მთელ საქართველოში, ვგონებ, ავტორის გარდა, დღემდე არავის უსწავლებია ამ ახალი მეთოდით.

მოქ ზედგინიძე გულს მაინც არ იტეხს და თვითონ აქებს თავის ახალ მეთოდს გასულ წელს მან ქება-მოხსენება წაიკითხა განათლების მუშაკთა სახლში თავისი ახალი მეთოდის შესახებ. მერე რა? ტფილისის მასწავლებლობა უმადური გამოდგა და ახალ მეთოდს ერთხმად უარყოფით შეხვდა.

ცხადია, ახალი მეთოდის ავტორს შეწუხებდა ასეთი უმადურობა. მაგრამ მოქ. ზედგინიძის პრაქტიკაში ასეთი ცდის მარცხი პირველი შემთხვევა არაა.

ჩვენ ვიცით, იყო დრო, როცა მოქ. ზედგინიძე ცდას ახდენდა ნეტარხსენებული ლევიცკის მუნჯური მეთოდის ჩვენში გასამტკიცებლად. ეს ცდაც მარცხით გათავდა, როგორც ანტიპედაგოგიური და ანტინაციონალური.

ამნაირად მოქ. ზედგინიძეს ბევრი რამ გადახდია თავზე, რის გამოც მასში დაგუბებული უნდა იყოს ბოღმა და ღვარძლი. და ასეთი კაცისაგან ნაღვლის გადმონთხევა ბუნებრივი მოვლენაა. განსაკუთრებით ჩვენ არ გვიკვირს ეს, ვინაიდან, მისი შეხედულებით, ერთნაირი შეცოდება ჩვენც მიგვიძღვის მის წინაშე. საქმე ისაა, რომ, როცა სასწავლო კომიტეტში ზედგინიძის „ახალი ანბანი" ირჩეოდა, თ. კიკვაძემ და გ. ქუმბურიძემ, როგორც კომიტეტის წევრებმა, კამათში მონაწილეობა მიიღეს და წუნი დასდვეს წიგნს (გ. ქუმბურიძემ შემდეგ გაზეთშიაც მოათავსა ამ წიგნის გარჩევა), ფ. მგელაძეს კი, კომიტეტის დავალებით, წერილობითი უარყოფითი რეცენზია ჰქონდა წარმოდგენილი. ამნაირად, სრულიად შემთხვევით, მხოლოდ ერთგვარი პედაგოგიური თვალსაზრისით, ჩვენ ერთნაირი აზრი გამოვთქვით „ახალი ანბანის" შესახებ.

გრძნობს რა თავისი გამოსვლის უშედეგობას, მოქ. ზედგინიძეს სურს ამ კამათში მოიშველიოს „ის პირნი, რომელნიც უდგნენ სათავეში წ. კ. საზოგადოებას და რომელთაც ევალათ სხვათა შორის ი. გოგებაშვილის ნაანდერძევი „დედა-ენის" მოვლა-პატრონობა". დიდ სამსახურს გაგვიწევს მოქ. ზედგინიძე, თუ ის ამ სურვილს განახორციელებს. ეს მართლაც საჭირო საქმეა, ვინაიდან მაშინ საშუალება მოგვეცემა „დედა-ენის" შესწორების ირგვლივ შექმნილ მითქმა-მოთქმას ფარდა ავხადოთ.

გ. ქუმბურიძე თ. კიკვაძე, ფ. მგელაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 13.

კეროსინის სააქციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ,—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 1923 წლის ნოემბრის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-IV კარის მე-5 მუხლის იმ ნაწილის შეცვლისათვის, რომელიც ეხება კეროსინს,—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ.კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს კეროსინზე სააქციზო დაბეგვრის მტკიცე განაკვეთად 30 საჩერვონცო კაპიკის ნაცვლად, ორმოცი (40) საჩერვონცო კაპიკი ფუთზე.

2. ამა დადგენილების 1 მუხლით დაწესებული განაკვეთი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე კეროსინის ხელთქონებულ მარაგზე, რაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა ვაჭრობის კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ახალ გასაყიდ ფასებზე გადასვლის დღისათვის აღმოჩნდება გზაში ამიერკავკასიის რკინის გზებზე ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოთა სათბობი მასალის განყოფილებების და აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბაზისო საწყობებში და აგრეთვე ცეკავშირისა და სომხეთის კოოპერატივის სასადგურო საწყობებში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ბ. თალიბლი.

დადგენილება № 1

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოსი.

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა № 42, ა. | წ. 23 იანვრის თარიღით, ყველა სპორტიული ქონება, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნის როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გადადის საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში.

ფ. კ. უ ს. საქ. სპარტაკის ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ საბჭოებს სპარტაკისა (ქალაქის, მაზრის, ოლქის და რაიონის) დაუყოვნებლივ შეუდგენ აღრიცხვას სპორტ-ქონებისა ყველა ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და კერძო სპორტწრეებში.

ყველა ცნობები ორი კვირის განმავლობაში გადმოგზავნილი უნდა იქნას სპარტაკის ცენტრალურ საბჭოში. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსადმი გადასა ვალდებულია ყველა საბჭოთა, სამე და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა წიონ ყოველგვარი დახმარება სპარ საბჭოებს დაკისრებულ ვალდებულების სასრულებლად.

საქ. ფიზ. კულ. უმაღლესი საბჭ. მჯდომარე ვ. სტურ

საქ. ფიზ. კულ. უმაღლეს ს.ბჭოს ნის მაგიერ პიტერს

ამინდი ამიერკავკასიაში

18 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ (ცელსიით): ფოთში... 6 გრ, ბათომში.... 7 გრ., სამტრედია.... 4 გრ., აჯამეთი... 6 გრ., ქიათურაში 3 გრადუსი., ბორჯომში... 1 გრ., სურამში... 1 გრ., ტფილისში.... 1 გრ., ერევანში.... 1 გრ., მუკუზანში.... 2 გრ., ერევანში... 1 გრ., ბაქო... 7 გრ., (ქუთაისიდან, წიფადან, ცნობები არ არის.

ღრუბლიანობა: სულ უმნიშვნელო ბათომში. აჯამეთში და წიფაში საგრძნობი. დანარჩენ ადგილებში სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის, ნელი. ბათომში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, ნელი. ქიათურაში—აღმოსავლეთის: ნელი. ბაქოში—ჩრდილოეთ—დასავლეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: არსად არ ყო [illegible]

ამინდი [illegible]:

ცვალებადი ღრუბლიანობა, [illegible] ლა, არ წვიმს. აღმოსავლეთ [illegible] თველოში ალაგ-ალაგ ყინავს.

ჩრდილოეთ-კავკასია

17 დეკემბერი, დილის 7 სა

კავკავი: ტემპერატურა.. მოწმენდილია, ქრის სამხრეთ ლეთის, ნელი ქარი.

კიზლიარი: ტემპერატურა... 4 სრული ღრუბლიანობა, ქრის სამ აღმოსავლეთს ნელი ქარი.

ტფილისი

18 დეკემბერი, დღის 1 საა

ტემპერატურა: 8 გრ.

ღრუბლიანობა: ძლიერ დიდი.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ს. კ. პ. ტ. ორგ. ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, 19 დეკ საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის საბჭოს დარბაზში მოხ

დელეგატების საუბნო კრება.

უჯრედების პასუხისმგებელ მდივნებთან ერთად. სასურველია დასწრება რაიკომის წევრებისა და კანდიდატებისა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— **ს. კ. პ. ტ. ო. მე-2 საუბნო კომიტეტი** იუწყება, რომ დღეს, 19 კემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის ბინაზე მოხდება საერ კრება მე-2 უბნის წევრებისა და კანდიდატებისა, სამხედრო ორგანიზაციების რებთან და კანდიდატებთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. დამტკიცება პარტიულ წევრებად, 2. მოხსენება „მაკრატელ 3. ქალაქ ტფილისის მე-4 მოწვევის საბჭოს ხელახალი არჩევნების შედეგები.

ის ამხანაგები, რომლებიც მეცადინეობენ საუბნო პარტსკოლაში თავისუფლდ საერთო კრებაზე დასწრებისაგან.

მდივანი ნაზაროვი.

— **ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება,** 19 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათისათვის ქვემოხსენებულ ამხანაგებს იწვევს გიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში:

ქურიძეს, თალაკვაძეს, თათარიშვილს, გოგეშვილს და პენიაკოვას. დღის წესრ „თვითგანვითარების საკითხი".

საქართველოს კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების

მდივანი.

პროფესიული.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.** ხუთშაბათს, 20 კემბერს სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (ალექსანდრეს ბაღში, პუშკ ბიბლიოთეკა, მე-3 სართული) შესდგება საბიბლიოთეკო სექციის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი: საბიბლიოთეკო კაბინეტის დებულების განხილვა და სექციის მძღვანელის არჩევა.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ოთხშაბათს, 19 დეკემბერს საღ. 6 ნახ. საათ. სომხურ ენაზე საბუნებისმე ლო წრეში დანიშნულია: 1. ტუროზიანის მოხსენება: „საბუნებისმეტყველ ცოდნ ლი შრომის სკოლაში".

— პარასკევს, 21 დეკემბერს საღ. 7 საათ. არა რუსული სკოლების რუსული მასწავლებელთა წრის კრება. 1. ხოროხოვის ცნობები წერით ვარჯიშობათა სახე შესახებ.

— პარასკევს, 21 დეკემბერს საღ 6 საათ. არა ქართული ენის სკოლებში ქართ ლი ენის მასწავლებელთა წრეში: 1. საუბარი ქართული ენის სწავლების საკით შესახებ.

განათლ. სახლის გამგე შიუკაშვილი.

ც. ბ. საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული დედა ოლღა და მამა ავთანდილ მერაბა შვილი—მამიდა სარა სეფერთელაძისა—დიდედა მარიამ და პ ივანე მძინარიშვილი—ბიძები: ლადო, ნიკოლოზ და დიმიტრი მძინარიშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 17 დეკემბერს გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ლონდა ავთანდილის ასული
მერაბაშვილი

გამოსვენება დღის სახლიდან (ტროცკის ქ. № 8) უ.—1—1

ფარნაოზ ნიკოს ძე [illegible] და [illegible] შვილებითურთ: გრიშა, ნიკო, ანიჭკა და დათიკოთი აღნიშნავენ: პირველი ცოლის ძმის, მეორე ძმისა და უკანასკნელნი ბიძის

პავლე ივანეს-ძე
ჩხენკელის

უეცრად გარდაცვალებას 14 დეკემბერს საკუთარ სახლში, ქ. ხონში დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ხის 757—1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ივანე ნაკაშიძე, დედა კესარია დავითის ასული, დები: კატო, მარო, ქსენია, ლიუბა და ელენა, რძლები: ქსენია და ლიუბა, ძმები ალექსანდრე და ვალოდია ნიკოლოზის ძენი გძელიშვილები, აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ— 17 ამა თვეს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარ.

თამარა ნიკოლოზის ასულ ს

უდროოდ გარდაცვალებას. პარაკლისი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 20 დეკემბერს 2 საათზე ნ ძალადევიდან, ბაქინის ქუჩა № 19 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 293—2 1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

სხივებით რენტგენის [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

[illegible]

სამკურნალო სწორდება ექ. სვიმონ ყიფშიძის [illegible] ლობით. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20. (126—25—6

პროფესორი გ. მუხაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—4

დაკარგა პასპორტი, მიღებული მე-8 კომისარიატისაგან ვასილ ჩესნოკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 290—1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.